„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№7 (187)
ივლისი
2014 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთთეძვსმეტე წელი “LITERATURULI MESKHETI” “ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

საქართველოს მწერალთა XXIV ყრილობა

2014 წლის 21 ივნისს აკაკი ხორავას სახელობის თბილისის მსახიობთა სახლში ჩატარდა საქართველოს მწერალთა XXIV ყრილობა. იგი გახსნა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ბატონმა **ჯანსუღ ჩარკვიანმა**.

ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ყრილობას თავმჯდომარეობდა პოეტი ბადრი ქუთათელაძე.

ხუთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**. თანამოხსენებებით — **რევაზ მიშველაძე** და **ბაღათერ არაბული**. განიხილეს ყველა ის საკითხი, რომლებიც ყრილობის მონაწილეთა ინტერესებში შედიოდა.

ყრილობამ დადებითად შეაფასა მათ მიერ გაწეული მუშაობა.

სიტყვაში გამოვიდნენ: უხუცესი მწერალი ვასილ გვეტაძე, გენო კალანდია, თემურ ლანჩავა, ჯემალ ინჯია, მურმან თავდიშვილი, მანანა ცხვედიაშვილი, ფარნაოზ რაინაული, თამაზ ხმალაძე, ვახტანგ ხარშილავა, ავთანდილ ბერიძე, ნოდარ კობაიძე, თამაზ წივწივაძე, რეზო ადამია, კობა არაბული, შარლოტა კვანტალიანი და სხვები.

ყრილობის გადაწყვეტილებით, მწერალთა კავშირს ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარისა, ახალი რედაქციით, ხუთი კაცისაგან შემდგარი ბიურო უხელმძღვანელებს (ბიუროს თითოეული წევრი ერთი წლით).

ფარული კენჭისყრის საფუძველზე მწერალთა კავშირის ბიუროში არჩეული იქნენ — **მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, ბაღათერ არაბული, სოსო სიგუა, თემურ ჩალაბაშვილი.**

საპატიო თავმჯდომარედ — **ჯანსუღ ჩარკვიანი**.

გამგეობის შემადგენლობაში არჩეული არიან: **დავით თედორაძე, თეიმურაზ ლანჩავა, გენო კალანდია, ჯემალ ინჯია, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, ირაკლი შამათავა, ბაღათერ არაბული, თამაზ ხმალაძე, ავთანდილ ბერიძე, მარინე ცხვედიანი, ანა ერისთავ-რატიანი, კობა არაბული, რამაზ ბერაძე, ფარნაოზ რაინაული, მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, რეზო ჭეიშვილი, ბადრი ქუთათელაძე, ვაჟა ეგრისელი, გულნაზი ხარაიშვილი, დემიკო ლოლაძე, იზა ჯაჭვაძე, დავით ტიგინაშვილი, დალი ყარაულაშვილი, დავით შემოქმედელი, ირაკლი შამათავა, ნოდარ კობერიძე, რეზო ადამია, ზაალ ბოტკოველი, თამაზ ჩადუნელი, მირონ ხერგიანი**.

ჩატარდა ახლადარჩეული ბიუროს პირველი სხდომა. ბიუროს გადაწყვეტილებით პირველი ერთი წლის საანგარიშო პერიოდს უხელმძღვანელებს ბატონი **რევაზ მიშველაძე**.

ამით საქართველოს მწერალთა XXIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

საკ. ინფორმაცია

საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომრის ავთანდილ ბერიძის სიტყვა საქართველოს მწერალთა კავშირის XXIV ყრილობაზე

ძვირფასო მეგობრებო,

არ მინდა თქვენი ყურადღება გადავღალო იმ საკითხებით, რა მუშაობასაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაცია ეწევა და რა კეთდება მხარეში ქართული მწერლობის განვითარებისათვის. ამიტომ რეგლამენტს გადავუხვევ და თქვენს ყურადღებას სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადავიტან.

მოგეხსენებათ, კომუნისტური ეპოქიდან მოყოლებული, არაერთხელ დაისვა საკითხი — რუსთაველის ნააკვნარზე რუსთაველის სახლის — მუზეუმის მშენებლობის თაობაზე, თუმცა, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ძეგლ-ნაკრძალ ვარძიის 800 წლის საიუბილეო დღეებში — 1987 წელს საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა რუსთაველის სახალხო მუზეუმი, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი კულტურული კერა, რომელიც არაერთი ცნობილი ადამიანის ყურადღების ცენტრში მოექცა. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, შენობის ავარიულობის გამო, მუზეუმის შენობა დაინგრა და უნიკალური ექსპონანტების ერთი ნაწილი განადგურდა.

მოგეხსენებათ, 2016 წელი შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო წელია. ცხადია, ეს წელი რუსთაველის წლად გამოცხადდება და ამ დღისათვის მზადება ამთავითვე უნდა დავიწყოთ. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ, ერთხელ და სამუდამოდ, მესხეთში აშენდეს რუსთაველის მუზეუმი, რასაც არა მარტო კულტურული, არამედ — დიდი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

ქალბატონ მაყვალა გონაშვილთან ერთად რამდენიმე წლის წინ ვცადეთ ხორცი შეგვესხა ამ იდეისათვის. შეიქმნა რუსთაველის სახალხო მუზეუმის ფონდიც, სურვილი გვქონდა ფინანსების მოზიდვის მიზნით გაგვემართა ტელემარათონი, შესაბამის ინსტანციებთან მივაღწიეთ შეთანხმებას და ერთი დღით გადმოგვეცა რუსთაველის თეატრის შენობაც, მაგრამ პირდაპირი ტრანსლაციისათვის შეუძლებელი გახდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქველმოქმედო აქციაში ჩართვა. ასევე ვერ მივაღწიეთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, დაწესებულიყო ლატარიის ბილეთების გათამაშება და მოგებული თანხა მოხმარებოდა რუსთაველის მუზეუმის მშენებლობას. ჯერ კიდევ არაა გვიან — თუკი ახალი ხელისუფლების კეთილი ნება იქნება, ამ საკითხის გადაწყვეტა სრულიად შესაძლებელია.

ხაზს ვუსვამ ერთ გარემოებასაც: მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების პირობებში რესტავრაცია ჩაუტარდა ახალციხის რაბათის კომპლექსს, რომელზედაც 70 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა. ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“ ძეგლიც არის, ტაძარიც, ციხესიმაგრეც, მეორე ბიბლიაც და, განა რა არის სახელმწიფოსათვის იმისთანა შეუძლებელი, რომ მის შემქმნელს დავამადლოთ მაქსიმუმ 5 მილიონი ლარი და აღარავისი სალაპარაკო აღარ გავხადოთ ეს თემა?! ჯერ ერთი, მუზეუმი ჩაჯდება ტურისტულ მარშრუტში, დასაქმდება რამდენიმე ათეული ადამიანი, გარკვეულწილად შეიქმნება კულტურული კერა და იმდენ უკუგებას მოგვცემს, რომ იგი თავის თავს თავისუფლად შეინახავს. მხოლოდ სახელმწიფო ნებაა საჭირო და მეტი არაფერი! რამდენი უმიზნო ხარჯი გაგვიწევია და რამდენი მილიონი გადაგვიყრია წყალში, განა ამას მტკიცება უნდა?!

ცხადია, კულტურის სამინისტროს აქტიური ჩარევა მეტ ეფექტს მოგვცემს. სხვა თუ არაფერი, იგი მოვალეცაა! ისე კი, ჩვენს სამეზობლოში, ევროპულ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, განა რუსთაველის დონის მწერალზე დღის წესრიგში დადგებოდა მსგავს საკითხებზე საუბარი? იგი დიდი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა და რა დონეზე, ეს თავად განსაჯეთ!

რუსთაველის მშობლიურ მხარეში ამ მუზეუმის მშენებლობა პრესტიჟის საქმეა! ამიტომ მიმაჩნია, მწერალთა კავშირის ახლადარჩეულმა გამგეობამ თავის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად გაიხადოს ეს საქმე. ამასთან, რუსთაველის პრემიის ყველა ლაურეატს ყრილობის სახელით ვთხოვ, თავისი სიტყვა სთქვას ამ საკითხზე. ვფიქრობ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, ფართოდ უნდა გავშალოთ საგიტაციო მუშაობაც.

იმედს გამოვთქვამ — თუკი სერიოზულად მივუდგებით ამ საქმეს, იდეა წარმატებით შეისხამს ფრთებს.

აქვე შემოვდივარ წინადადებით — გადავაქციოთ „პოეზიის დღე — შოთაობა“ ქვეყნის უპირველეს სახალხო დღესასწაულად. მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით მიმაჩნია, რომ მწერალთა კავშირის აქტიურობით ხელისუფლებასთან მიღწეული იქნას — ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში რუსთაველის და სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი ყველა ლაურეატის დაჯილდოებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ყველა ლიტერატურული პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართოს პოეზიის სახალხო დღესასწაულზე.

და, ბოლოს. ჩვენი მზადყოფნა რუსთაველის მუზეუმის შექმნისათვის მოდით აქედანვე დავიწყოთ, კერძოდ, ვთხოვ ყველა მწერალს, მეცნიერს, პუბლიცისტსა თუ ნებისმიერ შემოქმედს, რუსთაველის მუზეუმის მომავალი ბიბლიოთეკისათვის საკუთარი ავტოგრაფებით, თითო ეკზემპლარი თავისი წიგნისა გადასცეს ამჟამად ასპინძაში მოქმედ რუსთაველის მუზეუმს, ხოლო გარდაცვლილთა წიგნები — მემკვიდრეებმა საკუთარი ავტოგრაფებით, რითაც შეიქმნება პრეცენდენტი ავტოგრაფებიანი ბიბლიოთეკისა.

ტაბახი

ამირან ჯმუხაძე

შემოდგომის სუსხიანი ღამეა.. თერთმეტს გადასცილდა. თინიკო ლოგინში წევს და ქმრის სამსახურიდან დაბრუნებას ელოდება. შვილებს — ნანას და ლაშას უკვე კარგა ხანია სძინავთ, დედამთილი და მამამთილი კი — ლოჯიაში ტელევიზორს უყურებენ.....

ამ ბოლო დროს ქალს მოსვენება დაეკარგა, დარდმა და სევდამ თავისი დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას, უძილობა დასჩემდა, საფიქრებელი კი ნამდვილად ჰქონდა. მან ბალიში გაისწორა და ფიქრებს მისცა თავი:

— ნეტავი ეს ჩემი ბედოვლათი ქმარი იმ დღეს არ შემხვედროდა, მაინც რა დაწყევლილი დღე იყო, რა საზიზღარი, რა საშინელი, ყველგან ხელი მომეცარა, რაც მინდოდა, ვერაფერს მივაღწიე. ის იყო სახლში წასვლა დავაპირე, მოულოდნელად ჩემი დაქალი შემხვდა, — ამხანაგის დაბადების დღეზე მივდივარო და ძალიან მთხოვა, წავყოლოდი. მეც ისეთ უჟმურ ხასიათზე ვიყავი, ოღონდ ცოტა გავმხიარულდე, ცოტას გულს გადავაყოლებ-მეთქი. უარი ვეღარ ვუთხარი და წავყევი. სწორედ იქ გავიცანი ნიკო... არადა, თავიდან რომ შევხედე, მომეწონა, ძალიან სიმპატიური იყო და დახვეწილი მანერები ჰქონდა, განათლებულიც ჩანდა, თანაც, მისგან დიდი სითბო და ყურადღება ვიგრძენი...

სუფრამ გვიანობამდე გასტანა, ჩვენც ძალიან მოვილხინეთ, ბევრი ვიხალისეთ....

მეორე დღეს დამირეკა და თეატრში დამპატიჟა, იქიდან კი რესტორანში. მოკლედ, დამახვია თავბრუ და რაღაც ორ კვირაში ცოლობაც მთხოვა. უარი აღარ მითქვამს. კი იყო რაღაც დაეჭვება, ჭოჭმანიც. ერთ მომენტში ვიფიქრე, რომ უარს ვეტყვი-მეთქი, მაგრამ მშობლებს და დაქალებსაც რომ ვესაუბრე, ყველამ მირჩია, გავყოლოდი, მაგრამ, მთავარი მიზეზი, რის გამოც თავს ვიკავებდი, ის იყო, რომ ჩემს ყოფილ კურსელზე ვიყავი შეყვარებული, მასაც ძალიან მოვწონდი, თითქმის ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, სიყვარულს მეფიცებოდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ვერ წარმოვიდგენდი, — მან სულ სხვა მოიყვანა ცოლად, ქალი რომელიც არაფრით მჯობდა. მჯობდა კი არა, ძალიანაც ჩამომივარდებოდა, როგორც გარეგნობით, ისე განათლებით. ამ უსამართლობამ გული მომიკლა, გამაღიაზიანა, გამაბოროტა. დამცირებულად ვიგრძენი თავი, ამიტომაც მიჭირდა გადაწყვეტილების მიღება..... მოკლედ, დაახლოებით ერთ თვეში ნიკოს ცოლად გავყევი, ,,თაფლობის თვემაც'' ნორმალურად ჩაიარა, ბათუმში წავედით, მაგრამ როდესაც თბილისში დავბრუნდით, ჩემში რაღაც შეიცვალა, რატომღაც მის მიმართ გულგრილი გავხდი, ადრე თუ მისი საუბარი მხიბლავდა და ძალიანაც მსიამოვნებდა, ახლა უკვე ყველაფერი მაღიზიანებდა, მისი ნებისმიერი საქციელი ზიზღს მგვრიდა. აი, მაგალითად: დილას ადგომა და შარვლის ჩაცმა, ტყაპუჭის შემოცმა, ანდა, ჩაის და ყავას რომ სვამს სამზარეულოში, ისიც კი ნერვებს მიშლის. მოკლედ და კონკრეტულად, ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ ძალიან შეიცვალა, თანაც, ის უფრო მაგიჟებდა, რომ ჩემი ქმარი ჩემს გარდა ყველას მოსწონდა, უბანშიც პატივს სცემდნენ, სამსახურშიც დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ... როდესაც სტუმრად ვიყავით მიწვეულნი, ისე ვიქცეოდი, თითქოს ნიკოზე ვგიჟდებოდი, მაგრამ გულის სიღრმეში, ჩემი თავი მეზიზღებოდა, გულს მირევდა, რომ არასწორად ვიქცეოდი, რომ ჩემს სულში ჩასახლებულიყო მსახიობი, რომელიც უარყოფით როლს თამაშობდა. ისე ვიქცეოდი, თითქოს ჩვენი ურთიერთობა იდეალური იყო, ვითომც ჩემსა და ნიკოს შორის დიდი ჰარმონია სუფევდა, არადა, მერე გავიაზრე, რომ ყველაფრის თავი და მიზეზი ის იყო, რომ ჩემს მეუღლეს ყოველთვის გიას ვადარებდი. მართლაც გიამ მიმატოვა, დამამცირა და თანაც ისე მოიქცა, როგორც ექცევიან ყველაზე უკანასკნელ ადამიანს. ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, აღარ მიყვარხარ და სხვა ქალი მომყავს ცოლადო, თანაც, მუდამ მიკვირს, ასე ოსტატურად როგორ გამაცურა-თქო. ამის მერე, ერთხანად, სახლში ჩავიკეტე, არავის დანახვა არ მინდოდა. შემდეგ, როცა ,,გამოვფხიზლდი'' და ყველაფერზე გული ავიყარე, სწორედ იმ დროს შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, თანაც, ისიც გავიფიქრე, გიას დავივიწყებ-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, ვერ მოვახერხე. გიაზე ფიქრი სულ თან დამდევს. არადა, საკვირველი ის არის, რომ როცა მათ ერთმანეთს ვადარებ, ყოველთვის მაოცებს ის რომ, გარეგნობითაც, განათლებითაც, ადამიანობითაც, ჩემი ქმარი გაცილებით მაღლა დგას, თუმცა, ქალისას რას გაიგებ, მაინც გიაზე ვფიქრობ, მაინც ის მომწონს, მაინც მასზე ვოცნებობ...

არადა, სხვის თვალში, ჩვენ იდეალური წყვილი ვართ, ყველაფრით უზრუნველყოფილი, ასეთი ოჯახის შექმნაზე ხომ ყველა ქალი ოცნებობს! ყველა იმას ფიქრობს, თავად სახლში იჯდეს და ქმარი ემსახურებოდეს, მე კი, რა მემართება, რა მომდის? გაუგებარია, თანაც ის უფრო მაგიჟებს, რომ ნიკოს ვერასოდეს შევიყვარებ, ჩემი თავი მეზიზღება, ცხოვრება წვალებად, კოშმარად მექცა. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, დედაჩემთან რომ გადავიდე,ნიკო სულ გადაირევა, ჩემი ხასიათი რომ ვიცი, ქმარს ალიმენტის გადახდას ვერ მოვთხოვ, მშობლების პენსიით კი ვერ ვიცხოვრებ, ძალიან გამიჭირდება. ეს კი არ მაწყობს, რადგან მათხოვრად ვერ ვიქცევი... ო,ღმერთო ჩემო, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე. ხომ ამბობენ, ამქვეყნად ბედისწერა არ არსებობსო!? ძალიან მიკვირს, რა ქალურ ხრიკს არ მივმართე, რომ გია ჩემი გამხდარიყო, მაგრამ, არაფერმა გასჭრა, ამან სულ გადამრია, შურისძიებით განმსჭვალული ცოლად ნიკოს გავყევი და, რა მივიღე? — უსიყვარულო ოჯახი. რა საშინელებაა, აუტანელია, როცა ქმარი არ გიყვარს და მასთან ცხოვრობ... მინდა, ძალიანაც მინდა, სხვა რამეზე, რაიმე განსხვავებულზე, ამაღლებულზე ვიფიქრო, მაგრამ არაფერი გამომდის, ეს დეგენერატი გია არ ამომდის თავიდან (საოცარია, არა?), მბოჭავს, მახრჩობს განცდა, რომ მან ასე დამამცირა და თავიდან მომიშორა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ! — ამის გაფიქრებაზე თინიკომ ამოიოხრა, ბალიში გაისწორა და კვლავ ფიქრებს მისცა თავი, იგრძნო, რომ თვალები ცრემლით აევსო, ღამის პერანგის სახელოთი მოიწმინდა, ლოგინიდან წამოდგა, საძინებელი ოთახის კარი გამოაღო და ბავშვების ოთახში შევიდა. შვილებს მშვიდად ეძინა. ორივეს შუბლზე ეამბორა და გაიფიქრა, — ამათ რაღა დააშავესო! კვლავ ამოიოხრა და ოთახიდან ფრთხილი ნაბიჯით სამზარეულოში გავიდა, ტელევიზორი ჩართო, ცოტა გულს გადავაყოლებო, მაგრამ... გადაცემას გული ვერ დაუდო. ისევ გამორთო, სკამიდან წამოდგა და კვლავ საძინებელში დაბრუნდა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარი ანარეკლი შეათვალიერა, ამოიხვნეშა, ისევ ლოგინს დაუბრუნდა და მერამდენედ ამ საღამოს კვლავ ქმარზე დაიწყო ფიქრი, — საცაა მოვა და სჯობს დროზე დავიძინო, თუ ამას ვერ შევძლებ, თავს მოვიკატუნებ, ვითომ მძინავს. მასთან დიდი ხანია ლოგინი აღარ აქვს გაყოფილი, ესეც ხომ ტრაგედიაა, მითუმეტეს, ქალისთვის, კაცი კიდევ აიტანს უქალობას, ჭადრაკს, დომინოს, კარტს ითამაშებს, ან ძმაკაცებთან დალევს, ან, სულაც, სხვა ქალთან წავა. ქალმა კი რა ქნას, თანაც, ჩვენთან, საქართველოში. მოკლედ, ამ საკითხშიც უბედური ვარ, ქმარი გყავდეს და მასთან ალერსი გაღიზიანებდეს! მიკვირს და მაოცებს ყველანაირად სრულყოფილი ადამიანი რატომ არ მიყვარს და რატომ მიყვარს ფლიდი და აფერისტი?! ალბათ, ქალების უმეტესობას, სრულყოფილება არ გვიტაცებს... არადა, ჩემს დარდს დაქალებს ვერ ვუმხელ,,მშობლებსაც როგორ ავუხსნა, — საცოდავები დარდს გადაჰყვებიან. ამ უთქმელობამაც გამაგიჟა, დამთრგუნა! თავი მოვიკლა? ეს რა გამოსავალია, რას მიშველის?! ამით ხომ ბავშვებს დავღუპავ, გავაუბედურებ. არადა, რა ვქნა, რა გზას დავადგე?

ამ ფიქრებში გართულს ჩაეძინა კიდეც.

ნახ. ვასილ ბოსტაშვილისა

ღამის ორი საათისთვის სამსახურიდან ნიკოც მოვიდა. ტანსაცმელი გაიხადა სამზარეულოში ჩაი დალია და საძინებელში შევიდა — ცოლს დახედა, ქალს მშვიდად ეძინა, ამის შემხედვარე ნიკომ ხელი ჩაიქნია, ამოიოხრა და თავისთვის ჩაილაპარაკა: აბა, ცოლია ეხლა ეს? იცის, როგორი სამსახური მაქვს, მთელი დღე ნერვები დაწყვეტაზე მაქვს, ეს კი წამოგორებულა და მშვიდად სძინავს, იმის მაგივრად, რომ დამელოდოს, რაღაცით დარდი გამიფანტოს, პიქირით იქცევა, როგორც ჩანს, ჩემი პრობლემები მისთვის უცხოა. ღმერთო, ეს ვის გადავეყარე! განა ასეთი რა დავაშავე, რომ ამას შემახვედრე?.. მაინც რა შავ დღედ გამითენდა ის, ათი დეკემბერი? რა მოხდა, რამ მაიძულა, რომ სახლიდან გავსულიყავი?

ისეთი საშინელი ამინდი იდგა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ამხანაგთან წასვლა და სწორედ, როცა სადარბაზოდან გავდიოდი, როდესაც ჩემი მეზობელი ანზორი გადამეყარა, ნასვამი იყო, შინ შემიპატიჟა: ეტყობა, რაც გიწერია, ვერსაც გაექცევი კაცი. თინიკო მაინც და მაინც ჩემს წინ იჯდა სუფრაზე, მაშინვე მომეწონა, ძალიან ლამაზი და მომხიბლავი იყო... საოცარი გრძნობა დამეუფლა, რომ დაველაპარაკე, საკმაოდ განათლებულიც აღმოჩნდა, მეტი რაღა მინდოდა, ვიფიქრე, — აი ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებდი, მასთან ერთად კარგ ოჯახს შევქმნი-მეთქი... თურმე, რა მწარედ ვცდებოდი, ანგელოზის მაგივრად სატანას გადავეყარე. მართალი ყოფილა, ვინც ფიქრობს, ცხოვრებაში ყველაფერს იღბალი წყვეტსო... — კარგი შვილები მყავს, ჯანმრთელად არიან, შემოსავლიანი სამსახურიც მაქვს, ასე ვთქვათ, ყველაფერი აწყობილი მაქვს, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, რასაც სიყვარული ჰქვია, ის მაკლია სწორედ! ვისაც ვუყვარდი და პატივს მცემდა, ყველას ზურგი ვაქციე. ჰმ, თავს ვიფასებდი ბიჭი! სანაცვლოდ რა მივიღე? — უაზრო და უსიყვარულო ცხოვრება! კაცს რომ სახლში მისვლა დაგეზარება და, თანაც, იმასაც რო ხედები, რომ ცოლს არ უყვარხარ, მეტიც, ეზიზღები კიდეც, ამას კი ყველაფერს იმის გამო ეგუები, რომ ოჯახი არ დაინგრეს... ამის გაფიქრებაზეც კი მეშლება ნერვები, ვგიჟდები კაცი: ვიცი, რომ არაფერი მაკლია, მთელი უბანი და ძმაკაცები პატივს მცემენ, მაგრამ, რაც მთავარია, ვისგანაც სიყვარული და პატივისცემა მინდა, სწორედ მან მაქცია ზურგი. რა ბრძენი ყოფილა ბაბუაჩემი, როცა მაფრთხილებდა, — იმ ქალს ცოლად ნუ მოიყვან, ვისაც შენამდე სხვა კაცი უყვარდაო! არ დავუჯერე და დავისაჯე კიდეც. ხელთ ყოვლად ცივი და არაემოციური ქალი შემრჩა. მაინც რა საოცარია, თითქოს ყველაფერი ვიცით, თავს ბევრი რამ გადაგვხვდენია, გამოცდილებაც არ გვაკლია, მაგრამ, ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობთ. შეცდომას დავუშვებთ და მერე ვნანობთ. დიახაც, ყველაფრის ღირსი ვარ! ამპარტავნობამ და უაზრო სიამაყემ დამღუპა! არადა, თითქოს, დასაწუნი არაფერი აქვს, მაგრამ, თავისი საქციელით, ისე შემაძულა თავი, რომ მასთან დაწოლაც აღარ მინდა, მისი ყველაფერი მაღიზიანებს — ლაპარაკი, სიარულის მანერა, ჩაცმა-დახურვაც კი. საშინელებაა — ცოლი გყავდეს და არ გიყვარდეს. მას რომ მოსწონდე და შენ არ გიყვარდეს, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ, რას იზამ, განგებამ ასე ინება. აბა, რაღაა ჩემი ცხოვრება, ცოლი გყავდეს, ანგელოზივით შვილები და არაფერი გაინტერესებდეს, ყველაფერი გაღიზიანებდეს! არადა, რა ვქნა, მეც ხომ ადამიანი ვარ, მეც მაქვს ჩემი სისუსტეები, მეც მინდა გავცილდე და ყველაფერს წერტილი დავუსვა, მაგრამ, ამის გაკეთება არ შემიძლია, სინდისი არ მაძლევს უფლებას! არ მინდა შვილებს ვუღალატო, თანაც სამსახურში თინიკოს ბიძამ მომაწყო, მან გამიკვალა გზა. ასე რომ, მისგან ძალიან დავალებული ვარ, ამიტომაც ყველაფერს უნდა შევეგუო, ყველა ტკივილი და დარდი უნდა ავიტანო, ძმაკაცებსაც მინდა ჩავუჯდე და ყველაფერი ავუხსნა, მაგრამ ამასაც ვერ ვახერხებ, მერიდება, მეშინია, რომ ვერ გამიგებენ, შეიძლება სულელადაც ჩამთვალონ, მეტყვიან კიდეც, ასეთი მშვენიერი ცოლ-შვილი გყავს და რა გაწუწუნებსო. აბა, სხვებმა რაღა ქნანო, ვისაც ლუკმა-პური ენატრებაო! ეხ, მიმიფურთხებია ასეთი ცხოვრებისთვის.

ამის გაფიქრებაზე ნიკომ ღრმად ამოიხრა, კვლავ ცოლს გადახედა, ხელი ჩაიქნია და ცოტა ხანში ჩაეძინა კიდეც.

დილას თინიკომ პირველმა გაიღვიძა, წამოდგა, ქმარს ზიზღით გადახედა და ოთახიდან გავიდა. ხმაურზე ნიკომაც გაახილა თვალი, ისიც ადგა და სამზარეულოში გავიდა, სადაც თინიკო დახვდა.

— სამსახურში როგორ მიდის საქმე? — ნაძალადევი ღიმილით შეეკითხა თინა.

— ყველაფერი კარგადაა, არაფერს ვუჩივი, რომც გითხრა, რა მერე? ჩემი დარდი და ტკივილი ხომ ისედაც უცხოა შენთვის!

თინიკომ არაფერი უპასუხა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. რომელიც ნიკომ დაარღვია:

— ისევ ჩემს მშობლებს დაჰყავს სკოლაში ბავშვები?

— აბა, რა ვქნა, ხომ იცი, სახლში რამდენი საქმეა?!

— ვითომ? — რაღაც, არა მგონია, შრომით იკლავდე თავს, —ამოიოხრა ნიკომ და თავი დახარა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში არცერთს ხმა არ ამოუღია.

ნიკომ ყავა დალია და სწრაფად წამოდგა, თინიკოც მაშინვე ადგა და უეცრად ქმარს ლოყაზე აკოცა.

ინსტიქტურად ნიკომაც იგივე გაიმეორა, შემდეგ ერთმანეთს დიდხანს უყურეს და არც ერთს ხმა აღარ ამოუღია.

ცოტა ხანში კი ქმარი სამსახურში წავიდა, ცოლი კი სახლში დარჩა!..

ნიკოლოზ კურტანიძე – 70



ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ჭეშმარიტი გულის ადამიანს, ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ უკეთილშობილეს მამულიშვილს, ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეს სულითა და გულით ვულოცავთ 70 წლის იუბილეს.

ნიკოლოზ კურტანიძე ქართულ მწერლობაში დიდი მოკრძალებით შემოვიდა და მკითხველთა სიყვარული დაიმსახურა, ათამდე წიგნის ავტორი, ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარიცაა.

დრო წლებს რომ ჩამოგვაბერტყავს, წყალგადავლილი ქვიშასავით გამოაჩენს თითოეული ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზის ავ-კარგს. ბატონი ნიკოლოზის მიერ განვლილი გზის თითოეული მონაკვეთი კი სიკეთითა და სისპეტაკით განვლილი გზაა, რომელმაც მას საზოგადოებაში კაცური კაცის სახელი დაუმკვიდრა. ამიტომაც კიდევ ერთხელ, წრფელი გულით და სიყვარულით ვულოცავთ ჩვენს დიდ მეგობარს ღირსეულ იუბილეს. იგი ხომ მზის კაშკაშა სხვივებით მხოლოდ სიკეთეს აფრქვევს და ხალხის განუზომელ სიყვარულს იმსახურებს.

რედაქცია

ვისაც პირველი უჭირავს სკამი

თუ გინდა ათი მახვილი გებას
და რაგინდ სიბრძნეს იტევდეს თავი,
ემორჩილები იმ ერთის ნებას,
ვისაც პირველი უჭირავს სკამი.
საჯაროობა, დემოკრატია,
იურუხლეთ, მართლა კარგი რამ არი,
კი, თქვი, ბატონო, რაც რომ გნადია,
ცხოვრება მაინც თამაში არი.
გულის მოფხანვა სჯობია გვემას,
დღე გაქრობია კულტებს უნინამე,
იმ ერთ კულტს მაინც ვმორჩილებთ ყველა,
სკამთან ერთად რომ კვერთხი უჭირავს.

ნეტავი ისევ ძონძები მეცვას

ცვრიან ბალახზე ფეხს დავაბიჯებ,
ამომავალ შზეს კრძალვით გავხედავ,
ვუცდი პატარა სოფლელ ძმაბიჯებს,
იმ ათას ერთი ზღაპრის ღამიდან...
დროის გიუური სრბოლა მაგიყვებს,
არა, არ ვითხოვ ძეგლის აგებას,
თუ მომავალი ფიქრებს გამიგებს,
მეტს არაფერს ვთხოვ მაღლით განგებას!
ცისარტყელები სერავენ ზეცას,
პარნასისა�ფეხს მივაბიჯებ,
ნეტავი ისევ ძონძები მეცვას,
გზაზე ვუცდიდე სოფლელ ძმაბიჯებს.

სიყვარული

სიყვარული აგანთებს,
როგორც თაფლის სანთელი,
შენს თვალებში სითბო და
სიცოცხლეა რამდენი.
შენს სიცილში, იცოდე,
მოჩანს დიდი ოცნება,
როგორც ვაშლი ხის ტოტზე
ტუჩებს კოცნად მონყდება.
მაგ ტრფობის შეჩერებას
ნეტავი ვინ გაბედავს,
რადგან გრძნობა გონებას
სულ მთლიანად ნალეკავს.

მეც თუ შევცოდე, შენ ნუ გამკიცხავ!

„უკეთუ შეცოდებულსა მას რისხავ,
შენ რად არ ჰცოდავ და
მასვე ბოროტსა შთავარდები“?

იოანე ოქროპირი

აელვარდება როცა თვალები,
როცა ღიმილი გიმშვენებს სახეს,
აღარ ჩანს სული განანამები,
სიღრმეში სძინავს დარდსა და ნაღველს.
გაზაფხულზე რომ კვირტი გასკდება
და სურნელება დუყის დამთრობს,
ჩემში იმგვარი რაღაცა ხდება, –
ვინ შენგდენია ხელებით მნათობს?!
რა ვქნა, ვეცდები ვიყო რჩეული,
ვპოვო საამოთხე, ჩემს სინდის ვფიცავ,
ნეტავ ვინ არის მთლად უცოდველი, –
მეც თუ შევცოდო, შენ ნუ გამკიცხავ!
რადგან ექნება ნილი ცოდვაში
შენი თვალების აელვარება,
ჩვენ რომ ხანდახან ცოდვას ვეძახით,–
ნამდვილ სიყვარულს დაემგვანება.

ფიქრები სურამის ციხესთან

ვიცი, მეც ლანდი გავხდები ქვეყნის,
უბირი ნამის უტყვი ხატება,
სულ დიდი, დიდი, ოსტატის ხელით
ერთ პატარა ქვას მიეხატება.
ცოტა ხნით იდენს ალალი ცრემლი,
მერე დრო მოსნეკეტს იმის სათავეს,
მე იმას ვნატრობ, სახელი ჩემი
სიცოცხლეშივე რომ არ გათავდეს.
მთებზე მოჯარდა შავი ღრუბლები,
გულზე დამედო ტკვიისფერ დარდად,
მჯერა, რომ ქვეყნად კვლავ დავბრუნდები,
ლურჯთვალა იად, მაისის ვარდად.
მომეფერება მზე და ფუტკარი,
გარდამქმნის თაფლად,
გარდამქმნის ფიჭად,
არ დამიხუროთ ეზოს ჭიშკარი,
იქნებ დავბრუნდე პატარა ბიჭად!

თუ

„სულია ღვინო კეთილი,
ხორცის ჭურჭელი მყრალია“.

დავით გურამიშვილი

თუ სული დავკარგე,
რად მინდა ხორცი,
თუ დრო არა მაქვს
ამქვეყნად მოცდის...
უნყლოდ ჯურჯელი
რის მაქნისია,
რაც გამაჩნია,
ის თუ სხვისია.
სხვა თუ განაგებს
ჩემს აზრს და ჯაუას,
რასაც ვქმნი, შევქმნი
ის სხვისი თუა,
თუ სხვის ნებაზე
უნდა ვიცინო,
თუ სხვის ნებაზე
უნდა ვიტირო,
თუ სხვისი ყინი
უნდა ვასრულო,
თუ სულის ტანჯვა
მაქვს უსასრულო,
თუ სულ დავკარგე
ჩემი არსება,
ჩემი აზრი და
იდეალები,
თუ ჩემი ჯაუით
არ მეყვარება,
ჩემი ლირსებით
არ ვეყვარები,
რაღა აზრი აქვს
სიცოცხლეს მაშინ,
მუდამ თუ ვრჩები
პატარა ბავშვად,
არ მაქვს არაფრის
არა, უფლება,
სანატრელი მაქვს
თავისუფლება...
სული თუ დავკარგე
მაშინ?..
მაშინ... რად მინდა ხორცი?!

* * *

ხარმა გასნიოს, სახნისმა
მინა აბრუნოს ბელტებად,
ასეა, ნუთისოფელში
დიდება სულ სხვას ერგება.
ხარი რაც მეტ ტვირთს ნაიღებს,
მით მეტ საპალნეს უდებენ,
სახნისი მინას გამოხნავს, –
ბოსელში მიაყუდებენ.

* * *

ფიქრს აგვირგვინებს სიტყვა,
სიტყვას ამშვენებს საქმე,
ღმერთო, მომკალი ისე,
ნუ გამომილევ სათქმელს!

მე თუ ვარ

მე თუ ვარ ქვეყნად მხოლოდ იმიტომ,
შევუმსუბუქო ვინმეს ტკივილი,
მათგან არ ვითხოვ, უკან მივიღო
მცირე საჩუქრად თბილი ღიმილი.

ავტოპორტრეტი

მე მინა მიყვარს და ცა მაოცებს...
სიცოცხლეს მოაქვს მუსიკის ხმები,
მე ვეფერები იებს საოცრებს
და საოცარი მუსიკით ვტკბები.
მე მინა უნდა ჩავიკრა გულში
და სული მივცე კოსმიურ სივრცეს,
დღეს ასე ვფიქრობ, ვფიქრობდი გუშინ
მთამომავლობას რა უნდა მივცე?!

ვლადიმერ ველიჯანაშვილი

* * *

ფიქრით ნაფიქრი ფიქრი,
თრთოლვით ნათოვლი თოვა,
თოვლით ნათეთრი ფითრი
ბგერას გამოსცემს ხმოვანს.
გადაფითრდება თითნი,
შემოეჩვევა ჩვევად,
ნათელ თლილ აზრს რომ ვთითხნი
მომკლავს ცნავილთა კმევა.
მოვა, არ მოვა, მოვა!
სულით არ მოსული სურვილს
დაუთრთვილავი თოვა,
გადასათოვლად უვლის.

* * *

– მე ყოველგვარი
დრო–ყამი მშვენის,
ასეთი ყოფის
არ ვარო ღირსი. –
იხუვლებს სიტყვა
ქართული გენის
და გადმოსკდება
ნაპირი მისი.

* * *

როგორც ნითელი ძახველი,
როგორც ცისფერი ბზა,
მითხარი, საით ნახვედი,
სად მიგიყვანა გზამ.
ვერ ამოვიღე ნახველი
ჩამჯდარი ფილტვის ბზარს,
ვერ ვნახე შენი მნახველი
თუმცა ვარისხებ ზარს.
მოლანდებებმა დამღალა,
ვით შენ გაშლილმა თმამ,
რად დამიტოვე დამღა, რად?
რად არ მაცალე თქმა?

* * *

მამღვრევს და მთენთავს ოფლის
მუდმივი სასთუმალი
და ბინდისფერი სოფლის
მწვავს იდუმალი ალი.
მრუმე მორევში მახვევს
ფიქრი და ბორგვით მბღლანდავს
და ბინდისფერი არხევს
დარდის დაბინდულ ფარდას.

გამოსვლას ვლამობ

როცა მძიძგნიან ურიგოდ, რიგით,
ვით ყვავ–ყორანი, ო, ფრთალაღ ქედანს,
ჩემს მთვლემარ ენებს ნარვმართავ იქით,
სიზიფეს ლოდი სიდანაც მქედავს.
როცა სიცხისგან ენუხვარ და ვკივი
და სული ჩემი უმატებს ბორგვას,
მაშინაც კი არ დავინყებ ჩივილს,
ჩივილს, რომელიც ემსგავსის ბოდვას.
როცა ნინ მიდგას მყიფე და ცრვი
ფიქრი, ვისთანაც სულ მუდამ ვდაობ,
მე მაშინ კვერცხის ნაჯუჯში ვინვი,
რამეთუ მისგან გამოსვლას ვლამობ.

მოფერება

ათოვდა, ართობდა დათოვლილი მთებს,
არ თმობდა
თითებით დათრთვილულ თმებს,
ნათითარ, ნათუთარ, ნათეთრალ თხემს –
ათრობდა, –
ნასხვისარ, ნასესხარ ხემსს.
ტაატით აიტანს ატანილ ტანს,
ჩამარცვლით ჩამოშლის ჩათრეულთან,
თვის ვნებებს ნავარვარს ჩამოიტანს
და ღელვით დაღვლანჯავს, დაიღვრის თან.
ზეიმით ამიდავს ნაზმორებ ზარს,
ზიმზიმებს ზრიალი,
ბზრიალის ბზარს
აირჩევს,
დაირჩევს
ეკალში ბზას,
არ უჩანს ალუჩა
დაჩრდილულ გზას.

* * *

ბედად უბადლო ბალთა...
ნვიმა ნასვამი მოლი,
ხავსად ხილვათა ხლართვა,
ნამნვის ნამნყდარი ბოლი.
მკერდ აკიბული კიბე,
სულ უსუფთაო სუნთქვა,
ჯგროდ ჯავრიანი ჯიბე,
ო, უსასრულო სულთქმად.
ინვის ნანვიმი ნვდომა,
გნატრობს ნატრული განცდა,
ბნელი, უბელო ნდომა,
ნასესხ სურვილსაც გასცდა.
შენს შეშინებულ შიშებს,
შიშებს შესაშურს შაურთხის,
შორს უშიშრად რომ გიშვებს,
გაუსაძლისად უფრთხი.

ფიროსმანი

ოთახის დუმილს ცრვსა და მრუმეს,
გამურულ ჭრაქის უნაღვლოდ ჭიატს,
ფიქრებით ახსნის ჩამოშლილ რიდეს
და ფუნჯთან ფერი ფერებით მიაქვს.
ყველაფრით... მაგრამ უფეროდ ვერ ძლებს,
ონავრობს ჩრდილის ყოველი ხაზი
და ცხელი ოფლით დანამული კედლებს,
ანევს და ებრძვის ფიქრი და აზრი.
და აგონიას თავისას უმზერს,
დაობს და ეძებს,
ეძებს და დაობს
და მნვავე ოფლით დათრთვილულ შუბლზე
კვლავ ერთი ფერი შემატებს ნაოჭს.
მშიერი დრო კი აკენკავს ნამებს
ერთ ნამს და მერე კვლავ მეათასჯერ,
გატეხავს ფერით სიჩუმის ღამეს
და ნათელ ფერთა შემკრებს და დამჯერს
აქეზებს უფრო სიჩუმე სრული,
ფერების ჩუმი ცრალი ანჯღრევს
და არაგვივით უბორგავს გული
და ცხელი სული
ანყდება ფანჯრებს.

* * *

სულ სხვანაირი შფოთვაა
თვით ქარის მონაბერიც,
ფიქრის მნერალი ცრტაა,
სიტყვის მნერალი – ბევრი.
ყველა სვლა მონაგონია,
ისეთ სისწრაფით მივქრი,
სიტყვაც კი მონა მგონია,
მონა მგონია ფიქრიც.
როცა არცოდნა ცოდვაა,
როს გვეჩაგრება მრევლი...
ფიქრის მნერალი ცრტაა,
სიტყვის მნერალი – ბევრი.
ხშირად გვძლევს ცრემლთა ჩქერანი,
გვინუხს ერი და ბერი,
ცრტა გვკავს ფიქრის მნერალი,
სიტყვის მნერალი – ბევრი.

ომი

ვიცი, არც ისე შორია
ყველა სურვილის მდომი...
ყველაზე დიდი ომია
საკუთარ თავთან ომი.
განა ერთი და ორია
მუდამ ქარგავს და ართავს...
გაუსაძლისი ომია
ომი საკუთარ თავთან.
დარდის ხურჯინი თან დამაქვს
უნდა ვიარო მთა–მთა,
რამეთუ, დიდი ომი მაქვს
ომი საკუთარ თავთან.

* * *

მემყავება ყამის როკვა,
ჩემსკენ ჩუმი ნელი ცრცვა,
გრძნობის სიმთა შემოთოკვა
და გარდასულ დღეთა ლოცვა.
მემყავება ყინყღვლა ყამის
და გადამნვარ ნერვთა რღვევა,
თვალთა გამტერების ნამით,
დაღლილ ძვალთა შემომტვრევა.
მემყავება ყამის ლოკვა,
ხორცთა ჩუმი ნელი თბობა,
ძარღვებ დამნყდარ მუხლთა ჩოქვა
და თვით აზრთა შემოდნობა.
და შენ ყამო ყამიერო,
ვინ დათრგუნა ნება შენი,
მარადისად ნამიერო
იყოს, იყოს ნება შენი.

ბორის ლომსაძე — 80

საიუბილეო საღამო ახალქალაქში

ამა წლის 30 ივნისს ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. მადლიერი ახალქალაქელები საზეიმოდ აღნიშნავდნენ დიდი ქართველი მეცნიერის, ჯავახეთის მკვიდრის, საქართველოს მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოსის ბორის ლომსაძის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ მეცნიერის ახლობლები, მეგობრები, თსუ-ის ბიოფიზიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები და მისი ნიჭის დამფასებლები.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ თსუ-ის გეოფიზიკის კათედრის პროფესორები — **დავით გამრეკელი, ნანა კოტრიკაძე, ზურაბ ლომთათიძე, სულხან ცაგარელი,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **მერაბ ბერიძე**, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული გამგებელი **ედუარდ აღასარიანი**, ბორის ლომსაძის თანაკლასელები, მეგობრები და ახლო ნათესავები — **სლავა მელიქიძე**, არტუშ ამბარცუმიანი, **ბელა** და **სერჟ გოლანიანები, ცარო** და **თეიმურაზ ლომსაძეები** და სხვ.

გამომსვლელებმა უდიდესი შეფასება მისცეს პროფესორ ბორის ლომსაძის დიდ ღვაწლსა და დამსახურებას სამშობლოს წინაშე, სომეხი და ქართველი ერების მეგობრობის განმტკიცების საშვილიშვილო საქმეში შეტანილ უაღრესად დიდ წვლილზე და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბატონი ბორისი ამავდროულად იყო ახალქალაქის საპატიო მოქალაქე და ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას უნდა მიენიჭოს მისი სახელი.

ასევე ითქვა, რომ შემოდგომით, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ აღინიშნება დიდი მეცნიერის 80 წლის იუბილე.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ქალბატონი ფირუზა **ტერ-გრიგორიანი**.

საკ.ინფორმაცია

ბორის ლომსაძის გახსენება

ბორის ლომსაძის სახელის ხსენების დროს მე ხშირად მაგონდება 1964 წლის აგვისტო-სექტემბერი. მაშინ მე თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი და ერთ მეგობართან ერთად ვისვენებდი უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ბანაკში — ბიჭვინთაში. ხელში ჩამივარდა ნობელის პრემიის ლაურეატის ალბერტ სენტ-დიორდის წიგნი „სუბმოლეკულური ბიოლოგია", რომელმაც ძალიან გამიტაცა და ვოცნებობდი კიდევაც, იქ ,ზღვაზე, გამეცნო ვინმე ჩამოსული პროფესორი მოსკოვისა თუ ლენინგრადიდან, რომელიც შემომთავაზებდა სწავლის გაგრძელებას რუსეთში — ბიოფიზიკის სპეციალობით. რა თქმა უნდა, ასეთი არავინ გამოჩნდა და სექტემბერში ისევ ფიზიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. წარმოიდგინეთ, თუ როგორ ავღელდი მე, როდესაც სექტემბრის შუა რიცხვებში ჩემმა თანაკურსელებმა მითხრეს, რომ ჩამოსულია მოსკოვიდან ერთი ადამიანი და ეძებს მოსკოვში ბიოფიზიკის განხრით სწავლის გაგრძელების მსურველებს. მაშინვე ავედი მეოთხე სართულზე — კიბერნეტიკის ლაბორატორიაში და ვიკითხე, თუ ვის უნდა გავსაუბრებოდი ამ გადასვლასთან დაკავშირებით. ასე შევხვდი ბატონ ბორის ლომსაძეს. საუბარი ძალზე მოკლე იყო. მან მომცა გერმანელი ავტორის — ბაიერის ბიოფიზიკის სახელმძღვანელო და მითხრა, გავცნობოდი მას და სამ დღეში მივსულიყავი მასთან უფრო დეტალური გასაუბრებისათვის. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1964 წლის 16 ოქტომბერს მე და კიდევ ერთი ჩემი თანაკურსელი, ვიტალი ჯავახია, აღმოვჩნდით მოსკოვში და უკვე იქ კვლავ შევხვდით ბატონ ბორისს, როგორც იქ მივლინებული სტუდენტები.

მომდევნო წელს ბატონმა ბორისმა ახალგაზრდების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჩამოიყვანა — 4 სტუდენტი, რომლებსაც ჩვენს მომდევნო კურსზე უნდა ესწავლათ და რამდენიმე ასპირანტი, რომელთაგან სამი დარჩა ჩენთან მჭიდრო კავშირში. აი ასე შეკრა ბატონმა ბორის ლომსაძემ ის საწყისი ჯუფი, რომელსაც 1970 წლიდან მოუწია ბიოფიზიკის კათედრის საქმიანობის გაძღოლა.

ბატონი ბორისი იყო შესანიშნავი ორგანიზატორი. მან უმოკლეს დროში, სულ რაღაც 5-7 წელიწადში, მოახერხა კათედრის აღჭურვა იმ დროისათვის საუკეთესო აპარატურით. ამის მისაღწევად მას არაერთი შეხვედრის ჩატარება მოუხდა მაშინდელ რექტორთან, ბატონ ილია ვეკუასთან, რომელსაც კარგი გამოცდილება ჰქონდა მიღებული ნოვოსიბირსკის, პრაქტიკულად ახალი უნივერსიტეტის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ასევე საკავშირო სხვადასხვა უწყებასთან, რომელთაც ეხებოდათ საზღვარგარეთული აპარატურის მოძიება და შეძენა. მეორე მხრივ, ბატონმა ბორისმა კვლავ არაერთი ახალგაზრდა მიავლინა მოსკოვში სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა მეთოდის ასათვისებლად და თბილისში დასანერგად.

ამ აქტივობას შედეგად მოჰყვა ის, რომ სტუდენტების დიდი რიცხვი ირჩევდა ბიოფიზიკის სპეციალობას მეოთხე-მეხუთე კურსზე სწავლის გასაგრძელებლად და მრავალი საკურსო და სადიპლომო ნაშრომი იყო შესრულებული. დიდი იყო ასპირანტურაში სწავლისა და სამეცნიერო კვლევის მსურველთა რიცხვიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში ბიოლოგიის ფაკულტეტის ბიოფიზიკის კათედრა ერთ-ერთი წამყვანი იყო მთელს უნივერსიტეტში.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ საქმიანობის გაფართოებას მოჰყვა კვლევითი ლაბორატორიების შექმნა და ოთხმოცდაათიანი წლებისთვის უკვე 4 ლაბორატორია მუშაობდა აქტიურად. ესენი იყვნენ ქიმიური კანცეროგენეზის პრობლემური კვლევითი ლაბორატორია, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, ბიოენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ეკოლოგიური ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. ყველა მათგანს, ცხადია, თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ მათი საქმიანობის საერთო კოორდინაციას ბატონი ბორისი უწევდა, რაც იმის უეჭველი დასტურია, რომ ბატონ ბორისს სამეცნიერო ინტერესთა ძალიან ფართო დიაპაზონი ჰქონდა. ისიც უნდა ითქვას, რომ 10 წელზე მეტ ხანს კათედრა სამეურნეო ხელშეკრულებით აწარმოებდა სხვადასხვა მასალათა ბიოდაზიანების მექანიზმების კვლევას.

ბორის ლომსაძე მეგობრებთან

ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბატონი ბორისი, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, აქტიურ მხარდაჭერას უწევდა ახალგაზრდობას და მათ ინიციატივებს. ბიოფიზიკის კათედრის თაოსნობით ჩატარდა მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო კონფერენცია, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ წარმოედგინათ თავიანთი კვლევის შედეგები, გასცნობოდნენ სხვა ცენტრების წარმომადგენელთა ნაშრომებს და მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინათ მათთან.

ბატონი ბორისი აქტიურად ავითარებდა ბიოფიზიკის კათედრის საერთაშორისო კონტაქტებსაც. 1975 წლიდან მოყოლებული, არაერთი უცხოელი მეცნიერი ჩამოსულა კათედრაზე საქმიანი ვიზიტით. ამათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კონტაქტი დიდი ბრიტანეთის ბრისტოლის დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტთან. 1990 და 1991 წლებში სტუდენტთა ორი 5-კაციანი ჯგუფი ჩვენი ფაკულტეტიდან სტუმრობდა ბრისტოლს საქმიანი ვიზიტით თვენახევრიანი პერიოდებით. ეს იყო შედეგი ბატონ ბორისის უშუალო აქტივობისა, რაც გამოიხატა როგორც ბრისტოლიდან პროფესორ ჰენრი პარის არაერთ მოწვევაში, მოყოლებული 1986 წლიდან, ასევე თვითონ ბატონ ბორისის მიერ ბრისტოლში განხორციელებულ ორ ვიზიტში. ბატონი ბორისის ავტორიტეტით ეს კონტაქტები გაგრძელდა მისი გარდაცვალების შემდეგაც და ბრისტოლის დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის ხელშეწყობით ბიოლოგიის ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედებენ ახალ პრინციპებზე აგებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

ბატონი ბორისი ძალიან ყურადღებიანი იყო ადამიანების მიმართ. ის ყოველთვის ინტერესდებოდა თანამშომელთა პრობლემებით არა მხოლოდ სამსახურთან დაკავშირებით, არამედ მათი პირადი ცხოვრების გართულებებითაც და, სადაც შეეძლო, იქ ყოველთვის აღმოუჩენდა თანადგომას და უწევდა აქტიურ დახმარებას. არის ისეთი ადამიანებიც, ვისაც მან იმდენად დიდი დახმარება გაუწია, რომ მათ ცხოვრებაში მიაღწიეს ისეთ სიმაღლეებს, რომლებზეც ბატონი ბორისის გარეშე ისინი ვერასოდეს ვერც იოცნებდნენ. და ამას ბატონი ბორისი უანგაროდ, უბრალოდ, თავისი კაცთმოყვარეობით აკეთებდა.

ბორის ლომსაძეს უყვარდა საქართველო, უყვარდა თავისი მშობლიური მხარე, ახალქალაქის რაიონი, რომელზეც ხშირად ფიქრობდა და რომლისთვისაც ბევრი სიკეთე გააკეთა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სიყვარულით სავსე სული და უმრავლოს საქართველოს მისნაირი მამულიშვილები.

დავით გამრეკელი

მარად კეთილად მოსაგონარი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბორის ლომსაძე გამოჩენილი გახლდათ თავისი მაღალი პროფესიონალიზმითა და ერუდიციით. იგი უმაღლეს განათლებას რუსეთში, მოსკოვში, გამოჩენილ მეცნიერთა შორის ეზიარა. იმთავითვე შენიშნეს მიზანსწრაფული, გონიერი ახალგაზრდა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მას. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბორის ლომსაძის საქმიანობის გაცნობის შემდეგ მაღალ შეფასებას აძლევდა მას დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ილია ვეკუა. სწორედ ილია ვეკუას თაოსნობით იქნა ბატონი ბორისი თბილისში მოწვეული და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსტეტში დასაქმებული. უნივერსიტეტის ფარგლებში ბორის ლომსაძე ფართო მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა. იგი მალე კათედრის გამგედ იქნა არჩეული. მეცნიერმა ახალგაზრდების მეტად საინტერესო წრე შემოიკრიბა და მათთან ერთად ეწეოდა კვლევით საქმიანობას. ბატონი ბორისი მეტად პრინციპული პიროვნება იყო. განსაკუთრებით მომთხოვნი — ახალგაზრდა მეცნიერებისადმი. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ მეცნიერების ჭეშმარიტი განვითარებისათვის მეცნიერთა ახალგაზრდული მასის არსებობა იყო აუცილებელი.

ფართო იყო ბორის ლომსაძის ინტერესები. ღრმა მეცნიერულ მოღვაწეობას იგი სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას უხამებდა. მეტად დიდი იყო მეცნიერის ზრუნვა თავისი კუთხისადმი - ჯავახეთისადმი. მოსახლეობის ბევრი გულის ტკივილი ახლო მიჰქონდა და ხშირად თავდადებული იბრძოდა ჯავახეთის, ამ ულამაზესი რეგიონის, მისი ხალხის მშრომელი და პატიოსანი ხალხის, პრობლემების ქვეყნის დონეზე გადასაწყვეტად. მისი ყურადღების არეალში იყო სოფელ ფოკის დედათა და მამათა მონასტრები. ბორის ლომსაძე აქტიური იყო, როგორც უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, რომ მე, როგორც უნივერსიტეტის რექტორს, ახლო საქმიანი ურთიერთობა მქონდა ბატონ ბორისთან. ბევრ საკითხზე დავთათბირებულვარ და ობიექტური პასუხი მიმიღია. მაშინაც კი, როცა ქვეყანას და უნივერსიტეტს ერთგვარად უჭირდა (გასული საუკუნის 90-იანი წლები მაქვს მხედველობაში) ბორის ლომსაძის კათედრაზე აქტიური მუშაობა მიდიოდა, იგი მარაგდებოდა სხვადასხვა საჭირო მასალითა და ლიტერატურით. ასე რომ, სტუდენტობაც ენთუზიაზმით ეუფლებოდა პრაქტიკულ ცოდნას.

ბორის ლომსაძე მძიმე ავადმყოფობის გამო ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან; საამაყოა, რომ მან დატოვა ღირსეული მეცნიერის, აქტიური ლექტორის და საზოგადო მოღვაწის სახელი.

შევთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს ბორის ლომსაძის, ქვეყნის ამ სახელოვანი შვილის, სული.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

როინ მეტრეველი

ბორის ლომსაძე — 80

ბევრი ითქვა, ითქმება და დაიწერება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსზე, წარმატებულ მკვლევარსა და მეცნიერზე, ბორის ლომსაძეზე, მაგრამ, მე მის მეგობარს, ამ სევდანარევ და მაინც საამო მოგონებაში, მინდა ვისაუბრო მასზე, როგორც მამულიშვილზე, პატრიოტზე, ღირსეულ მოქალაქესა და პიროვნებაზე, მამაცთა შორის მამაც ქართველ ვაჟკაცზე, თანაც მესხზე. ის იყო ჭეშმარიტების მაძიებელი, „მართალი კაცი“ და არა ზოგიერთივით თავისი ახირებული „აზრების“ გაჭეშმარიტებისათვის ფუჭად დამშვრალი მკვლევარი, თუ ე.წ. პოლიტიკანი, როგორებითაც, სამწუხაროდ, გადაიტვირთა დღევანდელი საქართველო. მას არა მარტო უყვარდა გამოთქმა — სოკრატე ჩემი დიდი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია! — არამედ ეს ცხოვრების და მოქმედების წესად ჰქონდა გათავისებული. დიდი ენერგიის და შრომისმოყვარეობის წყალობით, რითაც ყველას გვაოცებდა, ასწრებდა და ახერხებდა ყოფილიყო მეტად პროდუქტიული, წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი, ჭირსა და ლხინში ახლობლებთან მდგარი და მათი მოჭირნახულე. მას ხშირად ნახავდით სამცხე-ჯავახეთის სოფლებში თუ, როგორ ეხმარებოდა მათ სასმელი თუ სარწყავი წყლის სისტემის მოწყობაში, რამდენიმე სოფელს კი, თავისი სახსრებით, შეუძინა და დაუმონტაჟა მოძრავი სატუმბი აგრეგატი, ახალციხის მეხუთე და ახალქალაქის ქართულ საშუალო სკოლებს საშეფო ხელშეკ-

რულების საფუძველზე თვალსაჩინო სასწავლო მასალებითა და საშუალებებით მოუწყო კლას-კაბინეტები და სასკოლო ლაბორატორიები, შიგასასკოლო რადიოსადგურები. ვერ იტანდა სიბრიყვესა და უსამართლობას, საქმის უცოდინარობას და უპასუხისმგებლობას, უმადურობასა და მლიქვნელობას, არაკაცურ ქცევას. როგორც მესხისთვის სიტყვის კაცობა, უსამართლობისადმი შეურიგებლობა და ერთგულება, რაც მთავარია, პატრიოტიზმი გახლდათ მისთვის კაცობის საზომი. ამ თვისებებს მიიჩნევდა ვაჟკაცობად.

თითქმის ყოველ მარიამობას (28 აგვისტოს) გვეწვეოდა ხოლმე ახალციხელ მეგობრებს და ერთად ვხვდებოდით ამ დიდებულ დღესასწაულს საფარის მონასტერში. იმ წელს კი არა მარტო თვითონ, არამედ სიძესთან, დის ქმართან, დიდებულ ვაჟკაცთან, ზაზა კაციაშვილთან ერთად გვეახლა.

დღესასწაულის მეორე დღეს ბორიამ, ზაზამ და მისმა მეუღლემ (ბორიას დამ), უმშვენიერესმა ქალბატონმა ცარომ, მოინდომეს ახალქალაქში, ლომსაძეების მამაპაპისეულ სოფელში ასვლა. იმხანად, სოფელ გოკიასა და აზმანაში მიმდინარეობდა აჭარის დამწყრილი სოფლების მოსახლეობის ჩამოსასახლებლად ბინების მშენებლობა. მე, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს სამცხე-ჯავახეთში, ისედაც მევალებოდა ამ პროცესების შესახებ რედაქციისათვის ცნობების მიწოდება, და, ბუნებრივია, მათ არ ჩამოვცილებივარ.

ავედით. დიდებული რამ ვიხილეთ. აშენებული იყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა შესანიშნავი აივნიანი, კოპწია ოდა-სახლების, დიდებული ქუჩებისა და მოედნების მშენებლობა, სახლებიდან მოშორებით, თითქმის 200-300 მეტრის მოშორებით, ასევე შენდებოდა დამხმარე სათავსოები: ბოსლები, საქათმეები და ბაკები, რომლებიც მოშორებით მიეცათ, რომ მათი დამახასიათებელი სუნით არ „შეწუხებულიყვნენ“ ოდა-სახლებში მცხოვრებნი — ამ ნაგებობათა პატრონები. როდესაც ვიკითხე, გაირკვა, რომ ასეთი სახლების მშენებლობა ხორციელდებოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს კონტროლითა და დაკვეთით. ასეთი სახლები მართლაც კარგი იქნებოდა აშენებულიყო დასავლეთ საქართველოში, ხოლო ახალქალაქის პირობებში, სადაც ზამთარში ყინვა მინუს ოცდაათ გრადუსამდე ეცემა და ისეთი ქარბუქი იცის, რომ სახლის კარების გამოღებაც კი შეუძლებელი ხდება, იგი არაპრაქტიკულია. წარმოიდგინეთ — იანვარ-თებერვალსა თუ სხვა თვეებში იქ ხომ სუსხიანი დღეები, თითქმის ექვსი თვე გრძელდება. გამოდის აჭარელი ქალი აივნიანი ოდიდან და, 15-20 გრადუსი ყინვის პირობებში, ვედროთი ხელში მიდის ძროხის მოსავლელად და მოსაწველად სახლიდან 300 მეტრის მოშორებულ ბოსელში.

ყოველივე აღნიშნულის შესახებ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა“ ჩემი ავტორობით. ამ წერილის თაობაზე მინისტრთა საბჭოდან უსაყვედურეს გაზეთის მაშინდელ რედაქტორს, დიდებულ ვაჟკაცს, ბატონ მინდია სურგულაძეს და მოსთხოვეს, — გაზეთის კორესპონდენტს, გაზეთისავე ფურცლებზე, ბოდიში მოეხადა ასეთი დაუფიქრებელი და არაკომპეტენტური კორესპოდენციისათვის. ბატონ მინდიას ეს მოთხოვნა არც გაკვირვებია და არც შეუსრულებია, მაგრამ, როდესაც ბორიამ ეს ყველაფერი გაიგო, მე შემაქო, მეგობრულად გადამკოცნა და ისეთი ამბავი დაანია ჩვენგან ბოდიშის მომლოდინე პირებს, მათ კრინტი აღარ დაუძრავთ ამ თემაზე.

კატეგორიული ტონით საუბარი იცოდა მოპირდაპირე მხარეზე მდგომ მოსაუბრესთან, თუმცა, ასე მაშინ ხდებოდა, როცა განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო მის თუ რაიმეს მთხოვნელის უტიფრობით და უვიცობით. უმეტესად კი ლაკონურად და აღელვების გარეშე ახერხებდა ეპასუხა და სიმართლე ეთქვა ნებისმიერისათვის.

მახსოვს, სააღდგომოდ, ახალციხეში ყოფნისას, ერთმა ჩვენმა საერთო „მეგობარმა“ მოიკითხა და სთხოვა, — ბიჭი უნივერსიტეტში — ეკონომიკის ფაკულტეტზე მინდა მოეწყოს და დამეხმარე, შენი ხმალი და ჩემი კისერიო. ბორიას გაეღიმა (სხვათაშორის ღიმილი უხდებოდა), კიო, — უთხრა, — ვეცდები, რომ ცოდნა არ დაუკარგონ და „ნიშანი“ არ დააკლონო. პაუზის შემდეგ კი გააგრძელა — ინგლისელებისგანაა ნათქვამი, — თვით უდაბურ კუნძულზეც კი აღმოჩნდება ერთი მეგომარი მაინც, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოსო. გპირდები, სწორად შეაფასებენ, არავინ არაფერს დააკლებსო. ისე, სჯობია, უკეთ ისწავლოს და მოემზადოს, ცოდნას, გარწმუნებ, არ დაუკარგავენო.

ბუნებით დისიდენტი უფრო იყო, ხელისუფლებისა და ხელისუფალთა ქება მისგან არ მომისმენია, გარდა ერთი „გამონაკლისისა“. ჯერ კიდევ ასპირანტმა, სოფელ დილისკაში ყოფნისას, მითხრა, რომ კარგი კაცია ვასილ პავლოვიჩი (საუბარია ვასილ მჟავანაძეზე), სამცხე-ჯავახეთი მიწური სახლებიდან შესძლო გამოეყვანაო. ეს იყო და ეს, მისგან აღტაცება და ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ქება-დიდება არასოდეს მომისმენია.

თბილისის შემდეგ ეთნიკურად უაღრესად ჭრელი მხარეა სამცხე-ჯავახეთი. ბორიას აქ დიდი სამეგობრო ჰყავდა, ვინც კაცი იყო, მას პატივს სცემდა და ენდობოდა, სულერთია, თუ ის ვინ იყო: ქართველი, ბერძენი, რუსი თუ სომეხი, მას ადამიანებთან ურთიერთობა ნამდვილად არ უჭირდა. სამწუხაროა, რომ ბორის ლომსაძე ადრე წავიდა წუთისოფლიდან. მას, როგორც მეცნიერს, გულანთებულ ქართველს, პატრიოტს, ეხელმწიფებოდა სიკეთე და დიდება მოეტანა სამშობლოსათვის, რისთვისაც ის მუხლჩაუხრელად იღვწოდა მთელი ძალისხმევით.

ელგუჯა კოპაძე

ბორის ლომსაძე — 80

ბორის ლომსაძე მესხ მეცნიერებთან ერთად ასპინძაში 1970-იანი წლები

ვინ მოსთვლის, რამდენი უცნობ-ნაცნობისთვის გაუწევია უანგარო და დაუმადლებელი დახმარება, რამდენი ჩვენებური სტუდენტისთვის გაუმართავს ხელი სწავლასა და შემდგომ დასაქმებაში. მარტო თავის მშობლიურ სოფელ ჩუნჩხაში განხორციელებული არაერთი კეთილი საქმის გახსენება საკმარისი იქნება ნათქვამის დასადასტურებლად, რომელთა ჩამოთვლასაც მე აღარ შევუდგები.

ბატონი ბორისის მონაცემები, როგორც მსოფლიოში გამოჩენილი და აღიარებული აკადემიკოს-მეცნიერისა, ბიოფიზიკის დარგში, შეტანილი იყო 2000 წელს გამოცემულ საერთაშორისო მნიშვნელობის ნაშრომში — „100 სახელოვანი მეცნიერი“.

იგი განსაკუთრებით შეყვარებული იყო თავის ქვეყანაზე, მის ძირძველ, ისტორიულ კუთხეზე — სამცხე-ჯავახეთზე, სადაც მას მეგობრებთან ერთად და თანამოაზრეებთან ერთად ყოფნა ზეიმად ექცეოდა ხოლმე.

მას ეამაყებოდა, რომ ჰყავდა უამრავი მეგობარი როგორც ქართველ, ისე სომეხ მოსახლეობაში. ისინი დღესაც გულთბილად იგონებენ ბატონ ბორისს, როგორც მისი ნიჭისა და ავტორიტეტის თაყვანისმცემლები.

მის სტუდენტთა და ასპირანტთა შორის იყო ჩემი უფროსი ქალიშვილი თამარ ტაბატაძეც, რომელმაც, ბატონი ბორისის უშუალო ხელმძღვანელობით, დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტზე ბაკალავრიატი და ასპირანტურა.

ბატონ ბორის ლომსაძის მიერ განვლილი დიდი და სახელოვანი გზა მომავალი თაობებისათვის მისაბაძი მაგალითია.

შალვა ტაბატაძე

პროფესორ ბორის ლომსაძის გახსენება

ბორის ლომსაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი დაიბადა ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში.

ეს უბრალო ადამიანი სამუდამოდ ყველას დაგვამახსოვრდა, ვინაიდან ჩვენი შეხვედრისა და გაცნობის შემდეგ კავშირი და ურთიერთობა არასოდეს გაგვიწყვეტია.

ჩვენი ურთიერთობა დაიწყო მაშინ, როდესაც ბატონი ბორისი ახალი ჩამოსული იყო მოსკოვიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს ილია ვეკუას რეკომენდაციითა და მოწვევით უნივერსიტეტში სრულიად ახალი — ბიო-ფიზიკის კათედრა დააარსა და თვითონვე ჩაუდგა მას სათავეში.

ბატონი ბორისი დაარსებულ კათედრას სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა და, შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ მუშაობის პერიოდში, ბიოფიზიკის კათედრამ, უდიდეს სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, გაზარდა რამდენიმე ათეული ახალგაზრდა, რომლებმაც, მისი ხელმძღვანელობით, დაიცვეს სამეცნიერო ხარისხი და დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეცნიერების გარდა მისთვის უდიდესი საზრუნავი იყო თავისი მშობლიური მხარის — ჯავახეთის აღორძინება, მისი მომავალი და იქ მცხოვრებთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. მისთვის არავითარი განსხვავება არ ჰქონია ეროვნებას, ვინაიდან იგი დაიბადა და გაიზარდა ახალქალაქში, დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა და როდესაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა და სწავლობდა, მას მატერიალურად ეხმარებოდა ამავე სკოლის დირექტორი, აწ განსვენებული გულანიანი. იგი ყოველთვის აღფრთოვანებული იხსენებდა ამ ფაქტს და ყოფილი დირექტორის ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. უნივერისიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი ბორისი დიდი პატივისცემით იხსენებდა ქართველებთან ერთად თავის სომეხ მეგობრებს. ეს უბრალო მესაათე ხელოსანი იყო თუ რადიო, ელექტრო შემკეთებელი, მეზობელი თუ თანაქალაქელი. იგი ყველასთან მეგობრობდა და თბილი ურთიერთობა ჰქონდა.

ოთხმოციანი წლები ახალქალაქის რაიონისთვის დიდად მნიშვნელოვანი წლები იყო — აშენდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, დასრულდა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საბაგირო გზების მოწყობილობათა ქარხანა, სადაც დასაქმებული იქნა 350 ადამიანი. განვითარდა სოფლის მეურნეობის დარგები, ისეთი, როგორიცაა მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა და სხვ.

ბორის ლომსაძე ყოველთვის ჩამოდიოდა მშობლიურ მხარეში „დასასვენებლად“, მაგრამ, არა თუ არ ისვენებდა, არამედ, მოსვენებას არავის გვაძლევდა და მასთან ერთად მრავალთათვის საჭირბოროტო საკითხებს აგვარებდა.

სოფელ ჩუნჩხაში სასმელი წყლის გაჭირვება იყო. მოიტანა მიწის საბურღი სპეციალური მანქანა და დავიწყეთ ჯავახეთის ზეგანზე სასმელი წყლის ძიება. სადაც დაიბურღა, გარკვეულ სიღრმეზე ამოხეთქა წყალმა, მაგრამ, წიაღში არსებული მყიფე ქანების გამო, იგი იკარგებოდა. მაშინ მოვიფიქრეთ, სოფელ ჩუნჩხის ძირში, წისქვილთან, ქარაფიდან სასმელი წყლის ამოყვანა. მან პირადად თბილისში ნავთობ საძიებო სამმართველოში ხელმძღვანელობას სთხოვა მაღალი წნევის სპეციალური სატუმბი მოწყობილობა თავისივე მილებით და ჩამოატანინა სოფელში. ჩვენ დაგვავალა ელექტროენერგიის ქარაფზე — 2,5 კილომეტრზე ჩაყვანა. შემდგომ, გაჭირვებით, თოკებითა და ცხენებით ჩავიტანეთ იგი საცალფეხო ბილიკით ხევში. დიდი წვალებით დანადგარი ავკრიფეთ ხევში და ავამუშავეთ. თითქმის ვერტიკალურად — 80-90 მეტრი სიღრმიდან, მაღალი წნევის ტუმბოებმა სასმელი წყალი ამოქაჩა და ჯავახეთის ძირძველ მიწაზე, ორი სოფლის — ჩუნჩხისა და პტენის მოსახლეობის სიხარული და ზეიმი დიდხანს გაგრძელდა.

დასასრული მე-6 გვ. ▶

ბორის ლომსაძე — 80

მამაჩემი — ბორის ლომსაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთი წლის წინ დავამთავრე, ბოლო 17 წლის განმავლობაში ძალიან ბევრ რთულ საქმეს შევეჭიდე, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ჩემთვის ყველაზე რთული ამ ტექსტის აკრეფა იყო, აკრეფა იმდენად არა, რამდენადაც ემოციებისათვის თავის მოყრა და ყველაფრის თავიდან განცდა. ამბობენ, — დრო ყველაფრის მკურნალიაო, თუმცა, სასტიკად არ ვეთანხმები ამ გამოთქმას. ეს ტკივილი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც არ იკურნება, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება გადავიდეს რემისიაში, რითაც, რაღაც ეტაპზე, აუცილებლად გამწვავდება და სადღაც თავს გამოიჩენს.

პატარა რომ ვიყავი, კითხვაზე: — დედა უფრო გიყვარს თუ მამა, — დაუფიქრებლად ვპასუხობდი: „ორივე“! ერთხელ მაინც მოახერხეს ჩემი „გატეხვა“ და მაინც მათქმევინეს — „მამა“!

ბავშვობიდანვე მამას გოგო ვიყავი. ვგიჟდებოდი მამაჩემთან დროის გატარებაზე და ისიც მოუცლელობის მიუხედავად (მუდმივი მოუცლელობის), ყოველთვის ცდილობდა ჩემთვის დროის გამონახვას. ცდილობდა ყველგან თან წავეყვანე — პარლამენტში, უნივერსიტეტში, შეხვედრებზე, მანქანაში საწვავის ჩასასხმელად, მანქანის გასაკეთებლად. სწორედ ამიტომ ავტომანქანა, ბენზინგასამართი სადგურები და ავტომანქანის შესაკეთებელი ფარდულები, დღემდე, ჩემს საყვარელ ადგილებს შორის, პირველ ადგილებს იკავებენ. ამ სიაში თსუ-ის ბიოლოგიის კორპუსიც შედის, სადაც, ყოველთვის, ყველაზე პატარა სტუმარი ვიყავი და ყველა ცდილობდა ჩემს განებივრებას.

ბორიას უყვარდა ყველა და ყველაფერი. ისიც ბევრს უყვარდა, ამიტომაც მისი გაყოფა ძალიან ბევრ ადამიანთან მიწევდა.

მაშინ ეს მწყინდა, მაგრამ ახლა ამ სიყვარულით ვამაყობ. თან ზუსტად ვიცი, რომ მისი ორი ყველაზე დიდი სიყვარული მე და საქართველო ვიყავით.

მამაჩემთან არასოდეს ვგრძნობდი თავს ბავშვად. ყოველთვის ჩამოყალიბებული ადამიანივით მელაპარაკებოდა და ყველფერს სრულფასოვნად მიხსნიდა. მაგალითად, როცა 6 წლის ასაკში დავინტერესდი, მიწისძვრის ფენომენით და ვკითხე, რატომ ხდებოდა, პასუხი იყო დაახლოებით სამსაათიანი და მოიცავდა ყველა პატარა დეტალსაც კი დედამიწი შენებაზე, მიწის ქანებზე, ენერგიაზე და სეისმურ ტალღებზე. მინდოდა ჩემით ეამაყა, ამიტომ ყოველი პატარა და ბავშვური აღმოჩენით აღფრთოვანებული მამასთან მივრბოდი და ვუყვებოდი, ისიც ამაყი სახით მისმენდა.

არასოდეს მეჩხუბებოდა. მშვიდი სახით და არგუმენტირებულად მიხსნიდა — რა იყო კარგი და რა ცუდი, რა უნდა გამეკეთებინა და რა არა. ერთადერთი კამათის ეპიზოდი მახსოვს — 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. მე გერმანიას ვგულშემატკივრობ, ჩემი გერმანული ენისა და ოლივერ კანისადმი დიდი სიყვარულის გამო, მამაჩემი — ბრაზილიას. გერმანია აგებს, მე ვნერვიულობ, ბორიას ნერვები ეშლება ჩემს ნერვიულობაზე და მეუბნება: „ტყუილად ნერვიულობ, ბრაზილია ფეხბურთის ქვეყანაა და მაინც მოიგებს“! ამაზე მე უფრო მეტად მეშლება ნერვები და ჩვენს შორის იწყება არგუმენტების გაცვლა-გამოცვლა. ბოლოს, როცა ყველა მყარ არგუმენტზე გავეცი პასუხი, ნერვები აეშალა და მითხრა: „გერმანელმა ნაცისტებმა ებრაელები ამოხოცესო“! რაზეც ჩემმა პასუხმაც არ დააყოვნა: „რა შუაში არიან გერმანელი ნაცისტები თანამედროვე გერმანელებთან ან, საეროდ, ფეხბურთთან“? რაზეც ფარ-ხმალი დაყარა და შემდეგ თვითონვე აღიარა, რომ უაზროდ ვიჩხუბეთ.

ყველა არგუნმენტირებული კამათით ცდილობდა გავეძლიერებინე, რომ შემდეგ, როცა ჩემთან აღარ იქნებოდა, არავის დავეჩაგრე. არ უნდოდა ჩემი ბრძოლები ვინმეს ჩემს მაგივრად გადაეტანა ან ვინმეზე დამოკიდებული ვყოფილიყავი, რაც მე მგონი, გამოუვიდა.

ძალიან მინდა ჩემზე თქვან, რომ ვგავარ მამას. არა მხოლოდ გარეგნობით, არამედ, სიძლიერით, სიმაღლით, სიყვარულით და ქვეყნის ერთგულებით. მინდა ოდესმე იმის ნახევარი მაინც გავაკეთო ჩემი ქვეყნისათვის, რაც მამაჩემმა თავისი ცხოვრების მანძილზე მოასწრო.

ზოგადად, ვთვლი, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ. დედამ და მამამ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი — სიყვარული მასწავლეს ადამიანების, სხვა სულიერი არსებების, ცხოვრების... ბევრ კითხვაზე გამცეს პასუხი და ვიცი, რომ მომავალში გაჩენილი კითხვების საპასუხოდ ყოველთვის მზად არის დედა, რომელიც ბოლო 11 წელია თავდაუზოგავად ცდილობს მძაფრად არ ვიგრძნო მამის დანაკლისი და ბევრ რამეზე ვთქვა უარი ამისათვის. თუმცა, არის ისეთი კითხვებიც, რომლებიც 12 წლის ფუნთუშას (ამ ზედმეტსახელის დაძახების უფლება მხოლოს მამას ჰქონდა და მის გარდა არავის ექნება) არ უჩნდებოდა და ახლა 23 წლის ქეთას აწუხებს. კითხვები ბევრია, სულელური და სერიოზული. მაინტერესებს, უგულშემატკივრებდა თუ არა „ბარსელონა“-ს ჩემთან ერთად, მაინტერესებს, კმაყოფილი იქნებოდა თუ არა ჩემს მიერ გადადგმული პატარა თუ დიდი ნაბიჯებით, ვარ თუ არა ისეთი ადამიანი, როგორიც მას უნდოდა ვყოფილიყავი.

12 წელი დიდი დრო არ არის, მაგრამ ჩემი ბავშვობაა, რომელიც იმ დღეს დამთავრდა, როცა მამაჩემმა ბოლოჯერ შემომხედა თვალებში, ჟანგბადის ნიღაბი მოიხსნა, გამიღიმა და ხელი დამიქნია.

დღეს მე 23 წლის ვარ, აღარ ვგულშემატკივრობ გერმანიას, რატომღაც მგონია, რომ წელს თასს ბრაზილიის ნაკრები აიღებს და მაინც ვგულშემატკივრობ ესპანეთს. ვიცი, რომ, როცა ჩემი შვილი დაინტერესდება მიწისძვის ფენომენით, აუცილებლად მოვუყვები დედამიწაზე, მის შენებაზე, ქანებზე, ენერგიაზე და სეისმურ ტალღებზე.

ქეთევან ლომსაძე

საამაყოც და სათუთად მოსაპყობიც

30 ივნისს ბორის ლომსაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. ძნელია ილაპარაკო საკუთარ ძმაზე, მაგრამ, თავს მოვალედ ვთვლი, ორიოდე სიტყვით გავიხსენო იგი.

მახსენდება ის მწარე დღეები, როდესაც ბორია მარადულ სასუფეველში გადავიდა. ძნელბედობის ჟამი იდგა მაშინ, თუმცა მის გამოსამშვიდობებლად ვინ არ მოდიოდა... მახსენდება პანაშვიდზე მოსულმა სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა როგორ თქვა: ასეთები იშვიათად იბადებიანო. ბორია იწვოდა თავისი სამშობლოს სიყვარულით, აქტიურად იცავდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, განსაკუთრებით გული სტკიოდა და აწუხებდა სამცხე-ჯავახეთის პრობლემებზე, რომლებიც უხვად გვქონდა და, სამწუხაროდ, დღესაც ბევრი გვაქვს.

ახალქალაქში 12 ოჯახი ჩვენი ეზოს წყლით სარგებლობდა. ზამთარში კი გზა წყლამდე ძალზე მიუვალი ხდებოდა. მამაჩემი გზას გაკვალავდა, იდგა ვედროების რიგი, ზოგს ფეხი უცურავდა და ვერ ავსებდა წყალს. ბორია, სანამ სკოლაში წავიდოდა, ყველას წყლით სავსე ვედროს მიუტანდა. ბავშვობიდან სიკეთის მთესველი იყო. არ დამავიწყდება — ბევრი ნათესავ-მოკეთე ახალგაზრდა სიგარეტის მოწევას გადააჩვია. მისი ადამიანური ღირსება ძმისშვილებთან და დისშვილებთან პიროვნული ურთიერთობა იყო. არაფერს იშურებდა მათთვის.

ძალზე ძნელია ჩამოთვალო ის ახალგაზრდები, რომელთაც გზა გაუკვალა ცხოვრებაში, საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ამოარჩია და მოსკოვში წაიყვანა თავის ყოფილ პროფესორ-აკადემიკოსებთან, აღარაფერს ვამბობ, რამდენს შეუწყო ხელი აქ, თსუ-ში სწავლის პერიოდში, დააფრთიანა და ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა. ის ცხოვრობდა და სულდგმულობდა თავისი თანამშრომლებით და სტუდენტებით.

დიდმა მეცნიერმა, თსუ-ის რექტორმა ილია ვეკუამ იცოდა რა ბორიას, როგორც მეცნიერის, მამულიშვილისა და პატრიოტის ფასი, გვერდში დაუდგა მას და მისთვის სპეციალური კათედრაც კი გახსნა. მარტო ის რად ღირს, რომ მანვე, მისდამი მხარდაჭერის მიზნით, სამცხე-ჯავახეთიდან მომზადების მიზნით 25 მიწვეულ ახალგაზრდას, ცალკე აუდიტორია დაუთმო, რომელთაგან 17 კონკურსგარეშეც ჩარიცხა, რათა საკუთარი კადრებით უზრუნველეყო ბორიას მშობლიური კუთხე.

უბინაო ბორიამ გაბედა და ბატონ ილია ვეკუას განცხადებით მიმართა, აეყვანათ იგი საბინაო აღრიცხვაზე. რექტორმა განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა და ასეთი რეზოლუცია დაადო ამ განცხადებას: უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გამოეყოს უნივერსიტეტის ფონდიდან სამ ოთახიანი ბინა. და ეს უცოლო, ახალგაზრდა კაცი სასწრაფო წესით დააკმაყოფილეს ბინით. ეს მაშინ სასწაულს უდრიდა!

ქვეყნის წინაშე მრავალი დამსახურების გარდა, იგი საქართველოს პარლამენტის წევრიც გახლდათ. დასამალი არაა, რომ თავის საპარლამენტო ტალონს ერთ ცნობილ მწერალს უთმობდა იმ მოსაზრებით, რომ მრავალსულიანი ოჯახი იყო და პარლამენტარის პრივილეგიებით, ფაქტიურად, არც კი სარგებლობდა.

ქ. ორჯონიკიძის ქართულ საშუალო სკოლას 100 წელი რომ შეუსრულდა, ბიოფიზიკის კათედრამ აჩუქა ლაბორატორიის ძვირფასი მოწყობილობა. ანალოგიური დახმარება გაუწია ახალქალაქის ქართულ და ახალციხის მე-5 საშუალო სკოლებს. იგი დღენიადაგ ზრუნავდა რეგიონის და, განსაკუთრებით, თავისი რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქართული მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისათვის. როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა და კარები აუტალახა რესპუბლიკის ზემდგომ ინსტანციებს, სხვათა და სხვათა დახმარებითა და ხელშეწყობით იმას მიაღწია, რომ ჩვენს სოფელს საშვილიშვილო საქმე გაუკეთა — მდინარე ფარავანზე აიგო შესანიშნავი — 25 მეტრი სიგრძის ხიდი, რამაც ზუსტად ამდენივე კილომეტრით შეამცირა მანძილი სოფლის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან.

იმ წელიწადს საშინელი სიცხე იყო. ბორიას ამ კლდეღრეში სიარული ყოველ დღე უწევდა და მეტისმეტი დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო, ხშირად ცხვირიდან სისხლი სდიოდა. საქმეს მაინც არ ნებდებოდა. უნდოდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დროულად დაემთავრებინათ ეს სამუშაოები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მართლა ისეთ სიცხე იყო, რომ ცემენტით დატვირთულ სახედარსაც კი (ტექნიკის მუშაობა შეუძლებელი იყო) გული წაუვიდა. ბორიამ ჯიბეზე გაიკრა ხელი და... რა ღირს სახედარიო! — წამოიძახა.

— თქვენ საშვილიშვილო საქმეს გვიკეთებთ, მე სახედრის საფასურს როგორ გამოგართმევო? — იუხერხულა სახედრის პატრონმა.

ბორიამ შეხედა საწყლად მომზირალ გლეხკაცს და უპასუხა: გამომართვი, აქ სახედარი „ვოლგას“ უდრისო! ამასობაში წყალი მიასხეს ცხოველს და საცოდავი ფეხზე წამოხტა.

სოფლისათვის წყლის გაყვანაში კი ახალქალაქელი სომეხი მეგობრები ეხმარებოდნენ თავდადებით.

ბორია არაჩვეულებრივი შვილი იყო. იგი დიდ პატივს სცემდა მშობლებს. როგორც კი მოენატრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სტუმრობდა თავის მხარეს, მაინც შუაღამისას დაადგებოდა თავზე მათ, ვინაიდან, მეორე დღეს, თბილისში საქმეები ელოდებოდა. ხშირად მეტყოდა ხოლმე: ცარო, მშობლების წინაშე დამნაშავე ვარ, გვიან რომ დავქორწინდიო.

ლამაზი ოჯახის პატრონი იყო ჩემი ძმა. ბორიას ქალიშვილმა სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა — ხუთი ენა იცის შესანიშნავად.

ბორიას არყოფნა ჩვენს გვერდით, უფრო და უფრო მძიმდება, რადგან მისი გაზრდილი ვარ. ჩემი ძმის გარდაცვალებიდან 11 წელი გავიდა, მაგრამ დღესაც მირეკავენ მისი მეგობრები და მეუბნებიან — ბედნიერი ქალი ხარ, რომ ასეთი ძმები გყავდაო.

მართლაც დიდი ბედნიერებაა რომ ვარ ბორის ლომსაძის და, — საამაყოცაა და სათუთად მოსაპყრობიც.

ცარო ლომსაძე

◀ მე-5 გვერდიდან

ბატონმა ბორისმა მალე ახალი დავალება მოგვცა: „სოფლის მოსახლეობამ როდემდე უნდა იწვალოს და ქარაფის ქვემოთ არსებული ბაღებიდან და ბოსტნებიდან დოვლათი და ბარაქა ზურგითა და სახედრებით ამოიტანოს, საჭიროა გაკეთდეს მდინარე თაფარავანზე ხიდი და სამანქანო გზა ბაღებამდე“.

ამ საქმის მოგვარებაში აქტიურად ჩაება ამავე სოფლის მცხოვრები, აწ განსვენებული შალვა მელიქიძე და ახალქალაქის სამხედრო ნაწილიდან დიდი ხვეწნის შემდეგ მალულად გამოვიტანეთ სამხედრო საჭიროებისათვის ფოლადის დასაკეცი ხიდი, რომელიც, ბურჯების გაკეთების შემდეგ, მდინარის სიგრძეზე — 25 მეტრზე გავდეთ. გავჭერით გზა და დიდხანს ემსახურებოდა აღნიშნული ხიდი და გზა ამ მოსახლეობას.

ბატონი ბორის ლომსაძე ოთხმოცდაათიან წლებში გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი და ჩვეული თავისი პირდაპირობით, საქართველოს ხვალინდელი დღისათვის და მომავლისათვის, მრავალი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობდა. მომენტით ისარგებლა და თავისი მშობლიური სოფლისთვის, მაშინდელი საგზაო მშენებლობის მინისტრის ბორის სალარიძის დარწმუნება შესძლო და მისივე თანადგომით დააპროექტებინა და ააშენებინა მდინარე ფარავანზე ახალი ხიდი და სოფლამდე მისასვლელი გზა, რომელიც დღემდე ემსახურება სოფლის მოსახლეობას.

ძალიან ძნელია გაიხსენო ბორის ლომსაძე და მისი გაკეთებული მრავალი კეთილი საქმე და წარმოიდგინო, რომ იგი ჩვენს გვერდით აღარაა და რომ იგი 80 წლისა გახდებოდა.

მინდა ამ სტრიქონებით კიდევ ერთხელ დიდი პატივი მივაგო არა მარტო საქართველოში ცნობილ აკადემიკოს ბატონ ბორის ლომსაძის ხსოვნას, არამედ მსოფლიოს არაერთი დიდი უნივერსიტეტის საპატიო წევრს, ჯავახეთის ძირძველი მიწის ღირსეულ შვილს.

აქვე მინდა მივმართო სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს, ახალქალქის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რათა განიხილონ საკითხი — ქალაქ ახალქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის ბორის ლომსაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

ასეთი კეთილშობილი ადამიანის პატივისცემა, გახსენება და უკვდავყოფა საჭიროა ჩვენი მომავალი თაობებისათვის და ჩვენთვის, ვინც ვიცნობდით მას და ურთიერთობა გვქონდა მასთან, ეს, მისი უკვდავების ტოლფასი იქნება.

ედუარდ მესხიძე

გაგრძელება. დასაწყისი მე-6 ნომერში

სახარება მათესი



ქადაგების მოსასმენად მოსულ ხალხს, იესომ ერთხელ ასეთი იგავი უამბო მთესველზე: გამოვიდა მთესველი დასათესად და ნაწილი თესლი დაუცვივდა გზის პირას, რომელიც უმალვე აკენკეს ფრინველებმა. თესლის ნაწილი კლდეზე დაუცვივდა კაცს და აღმოცენდა, მაგრამ გახმა, რადგან კლდეში ფესვი ვერ გაიდგა. ნაწილი თესლი ეკალბარდებში მოხვდა; იქ ეკალმა არ ახარა ყანა, ხოლო თესლის დანარჩენი ნაწილი ნაყოფიერ მიწაში ჩაცვივდა; გაიზარდა ყანა და ასმაგი ნაყოფი გამოიღო.

— **„ვისაც ყურები აქვს სასმენად, მოისმინოს!“**— დაასრულა იესომ.

მოწაფეებმა ჰკითხეს, რას ნიშნავდა ეს იგავი.

მაცხოვარმა აუხსნა, რომ მათ მონიჭებული აქვთ ღვთის საიდუმლოებათა ცოდნა, რაც ყველას არ გააჩნია. სწორედ ამიტომ საუბრობდა მათთან იგავებით. ამ იგავში თესლი ღმერთის სიტყვაა.

გზაზე დათესილი მათზეა, ვისაც ესმის სასუფეველის შესახებ და გონებით ვერ სწვდება მას; ასეთს ბოროტი მოსტაცებს გულში დათესილს. კლდეზე დათესილი კი მასზეა, რომელიც სასუფევლის შესახებ ღვთის სიტყვის მოსმენისთანავე სიხარულით აიტაცებს მას, მაგრამ სიტყვა ფესვს ვერ იდგამს მის გულში, დღემოკლეა და როგორც კი გასაჭირი ან დევნა დაიწყება, უმალვე ცდუნდება. ეკალში ჩაცვენილი თესლი იმ კაცზეა, ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ წუთისოფლის საზრუნავი უნაყოფოს ხდის იმ სიტყვას.

ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილი თესლი მასზეა, ვინც გონებით სწვდება გაგონილ სიტყვას. აი, სწორედ ის იძლევა ნაყოფს ასმაგად.

მივიდა მაცხოვარი თავის მამულში და ასწავლიდა სინაგოგაში; უკვირდათ და ამბობდნენ მასზე: **„ვინ მისცა მას ესოდენი სიბრძნე და ძალა?“** განა ჩვეულებრივი ხალხის შვილი არ არის? ცხადია, ისინი ცდებოდნენ, ხოლო იესომ მათ უთხრა: **„არ არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში და თავის სახლში. და არ მოუხდენია იქ მრავალი სასწაული მათი ურწმუნოების გამო“.**

იმ ხანად, მეფე ჰეროდეს საპყრობილეში ჰყავდა ნათლისმცემელი და მისი მოკვლაც კი უნდოდა, მაგრამ ეშინოდა ხალხის, რომელთაც წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იოანე.

ჰეროდე მტრად იმიტომ მოეკიდა იოანეს, რომ ამ უკანასკნელმა ურჩია, თავი დაენებებინა თავისივე ძმის – ჰეროდიადაის ცოლისათვის.

ჰეროდეს დაბადების დღეს, ჰეროდიადაის ასულმა ცეკვით მოხიბლა ჰეროდე, რომელმაც აღუთქვა მას, მოგცემ, რასაც ისურვებო; დედისგან წინასწარ დარიგებულმა ასულმა, ლანგარზე დადებული იოანეს თავი მოსთხოვა მეფეს.

შეწუხდა ჰეროდე, მაგრამ რაღას იზამდა, სიტყვას ხომ ვერ გატეხდა და შეუსრულა სურვილი.

იოანეს უთავო ნეშტი კი, მისმა მოწაფეებმა მიწას მიაბარეს.

შეიტყო ეს ამბავი იესომ, დამწუხრებული ნავში ჩაჯდა და იქაურობას გაეცალა; ხალხი ფეხდაფეხ მიჰყვა. **„და გამოვიდა იესო, იხილა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, და განკურნა მათი სნეულნი“.**

ამასობაში შებინდდა კიდეც და მოწაფეებმა საჭმლის უქონლობის გამო, ხალხის გაშვება სთხოვეს მაცხოვარს. იესომ მოატანინა მათ, რაც რამ საკვები ებადათ: ხუთი პური და ორიოდე თევზი. **„და ჭამა ყველამ, და გაძღნენ; ნარჩენებით გაავსეს თორმეტი კალათი. ხოლო იყო მჭამელი ასე ხუთიათასამდე კაცი, ქალებისა და ბავშვების გარდა“.**

იესომ გაისტუმრა ხალხი და მთაზე სალოცავად განმარტოვდა, ხოლო მისი მოწაფეები ნავით ზღვაში გავიდნენ.

მოულოდნელად ძლიერი ქარი ამოვარდა.

მოწაფეებმა ზღვაზე მომავალი მაცხოვარი დაინახეს, შეძრწუნდნენ და შიშით შეჰყვირეს. **„მყისვე შეეხმიანათ იესო: მხნედ იყავით, მე ვარ, ნუ გეშინიათ“.**

მიადგნენ გენესარეტის მხარეს.

იქაურებმა იცნეს იესო **„და ევედრებოდნენ, ხელი შეგვახებინე შენი სამოსის კალთისთვისო; და ვინც შეახო, განიკურნა“,** რადგან ჭეშმარიტად მორწმუნე იყო უფლისა.

ერთხელ, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მაცხოვარს ჰკითხეს: **„რატომ არღვევენ შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემას? ვინაიდან ხელს არ იბანენ პურის ჭამისას“.** იესომ მათ კითხვას, კითხვითვე უპასუხა: **„კი მაგრამ, თქვენ რატომღა არღვევთ ღმერთის მცნებას თქვენი გადმოცემით?“** როცა **„ამბობთ: ყველა, ვინც ეტყვის თავის მამას ან თავის დედას: ღმერთს ვწირავ იმას, რაც ჩემგან უნდა მიგეღოთ, – პატივს არა სცემს არც მამას და არც დედას; და ამრიგად, თქვენი გადმოცემით არღვევთ ღმერთის მცნებას“;** და იქვე დასძინა:

„მართლად იწინასწარმეტყველა თქვენთვის ესაიამ, რომელმაც თქვა: მოახლოვდება ეს ხალხი თავისი ენით, და მადიდებს თავისი ბაგით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან“.

იესო მოწაფეებსა და ხალხს ასწავლიდა, რომ **„პირით შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ პირიდან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს“.**

ამას კი იმით ხსნიდა, რომ პირით შემავალი, მუცლის გავლით გარეთ გამოდის, ხოლო პირიდან გამომავალი გულიდან მოდის. სწორედ ამიტომ, ყველა სიბოროტე, კაცის კვლა, პარვა, ცილისწამება, გულიდან გამომავალია და შემბილწველია კაცის, ხოლო ხელდაუბანელად ჭამა არ ბილწავს კაცს.

ამის შემდეგ, გალილეის ზღვის პირას, მთაზე ავიდა მაცხოვარი.

იქაც დიდძალი სნეული ხალხი მიეძალა და მანაც ყველა განკურნა, თან გააძღო ისინი, სულ რაღაც შვიდი პურითა და ცოტაოდენი თევზით; სულ **„იყო მჭამელი ოთხი ათასი კაცი, ქალებისა და ბავშვების გარდა. და გაისტუმრა ხალხი, თვითონ კი ნავში ჩაჯდა და მიადგა მაგდალას საზღვარს“.**

მაცხოვარი მოწაფეებს უნერგავდა ფარისეველთაგან განრიდებას.

როცა მაცხოვარი ფილიპეს კესარიის მხარეში შევიდა, ჰკითხა საკუთარ მოწაფეებს: **„რას ამბობს ხალხი, ვინ ვგონივართ მე, ძე კაცისა?“** მათ მიუგეს, რომ ზოგს იოანე ნათლისმცემელი, ზოგს ელია, ზოგს იერემია და ზოგს სხვა წინასწარმეტყველი ჰგონია იგი. მაშინ **„კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე? სიმონმა, იმავე პეტრემ მიუგო: შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა“.**

იესომ მოწაფეებს სთხოვა **„არავისთან გაეთქვათ, რომ ის არის იესო ქრისტე“** და გაუმხილა, რომ იერუსალიმს უნდა წასულიყო, მოეთმინა მრავალი ტანჯვა, **„სასიკვდილოდ მიეცა თავი და აღმდგარიყო მესამე დღეს“.** იქვე ბრძანა, რომ ვისაც სურდა მასთან ყოფნა, საკუთარ თავს უნდა განდგომოდა, აეღო ჯვარი და გაჰყოლოდა, **„რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, ჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას. რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას, და სულს კი წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?“**

რამდენიმე დღის შემდეგ, იესომ პეტრე, იაკობი და იოანე მაღალ მთაზე აიყვანა და მათ წინაშე ფერი იცვალა:

„მზესავით გაბრწყინდა მისი სახე, და ნათელივით გასპეტაკდა მისი სამოსი“. მოწაფეებმა დაინახეს იესოსთან მოსაუბრე მოსე და ელია.

უეცრად, ღრუბლებიდან მოისმა ხმა: **„ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე. მას უსმინეთ“.**

გაოგნებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ. იესომ ხელი შეახო მათ და უთხრა:

– **„ადექით, ნუ გეშინიათ“;** მთიდან ჩამოსვლისას კი მოწაფეებს უთხრა, არ გაემხილათ ეს ხილვა, ვიდრე ძე კაცისა არ აღსდგებოდა მკვდრეთით.

ერთმა კაცმა მთვარეული შვილი მიუყვანა მაცხოვარს განსაკურნებლად და უთხრა, რომ მისმა მოწაფეებმა ვერაფერი მოუხერხეს ავადმყოფს, **„ხოლო იესომ პასუხად თქვა: ო, ურწმუნო და უკუღმართო მოდგმავ; როდემდის ვიქნები თქვენთან? როდემდის მოგითმენთ თქვენ? აქ მომგვარეთ. და შერისხა იესომ და გავიდა ეშმაკი მისგან; და განიკურნა ყმაწვილი იმავე წამს. ამის შემყურე მოწაფეებმა ჰკითხეს, რატომ მათ ვერ შეძლეს იმ კაცის განკურნება? მაცხოვარმა უპასუხა, რომ დამნაშავეა მათი ურწმუნოება, „ეს მოდგმა კი მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება“.**

გალილეაში ყოფნისას მაცხოვარმა მოწაფეებს გაუმხილა, რომ **„ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში, და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღდგება. და დიდად დამწუხრდნენ ისინი“.**

იესო ხალხს მოუწოდებდა, გულით მიეტევებინათ ერთმანეთისათვის შეცოდებანი, რათა მამაზეციერს სამაგიეროდ, ასევე მიეტევებინა მათთვისაც და ერთი ასეთი იგავიც უამბო მათ:

– მეფეს ერთი კაცი წარუდგინეს, რომელსაც მისი ათასი ტალანტი ემართა, მაგრამ ვერ იხდიდა. მაშინ მეფემ იმ კაცის მთელი ოჯახისა და საბადებლის მონად გაყიდა ბრძანა. ამის გამგონე კაცი ფეხებში ჩაუვარდა მეფეს და შებრალება სთხოვა.

მეფემ შეიწყნარა, გაუშვა და ვალიც აპატია.

წამოვიდა ის კაცი და თავის ამხანაგს, რომელსაც მისგან სულ რაღაც ასი დინარი ემართა, ყელში სწვდა, **„ჩემი ვალი დამიბრუნეო“.**

ამხანაგი შეევედრა, ცოტა ხანი მაცალე და მთელს ვალს გაგისტუმრებო, მაგრამ კაცმა არ ისმინა მისი და ვალის გადახდამდე ციხეში ჩაასმევინა იგი.

ეს ამბავი მეფის ყურამდეც მივიდა. დაიბარა მეფემ ის კაცი და ჰკითხა, რატომ არ შეიბრალა საკუთარი ამხანაგი ისევე, როგორც თავად მან შეიბრალა ის? სწორედ ამიტომ, **„განრისხდა მეფე და მტანჯველებს მისცა ხელში, ვიდრე არ გადაიხდიდა მთელ თავის ვალს“.**

აი, ასე მოექცა უმადურ და დაუნახავ ადამიანს, სამართლიანი და მოწყალე მეფე.

მაცხოვარი თავის მოწაფეებს ბავშვებივით სიმდაბლესა და ასეთსავე მოქცევას უნერგავდა; ამასთან, ბრძანებდა, რომ ცათა სასუფეველში უფრო დიდია ის, ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ბავშვი და, ვინც თუნდაც ერთ ბავშვს მაინც შეწყინარებს მისი სახელით.

გზას აცდენილთა გამოსწორებაზეც ფიქრობდა იესო, რადგან, მიიჩნევდა, რომ **„ძე კაცისა მოვიდა, რათა იხსნას დაღუპულნი“.** კაცს, რომელსაც ასი ცხვარი ჰყავს და ერთი დაეკარგება, ვალდებულია მიატოვოს ოთხმოცდაცხრამეტი და იმ ერთი გზააბნეულის საძებრად გაეშუროს და როცა ის იპოვის **„მას უფრო მეტად შეჰხარის, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტს, რომლებიც არ დაჰკარგვია“.**

გალილეადან იესო, იუდეის მხარეში, – იორდანეს გაღმა ჩავიდა.

კვლავ დიდძალი ხალხი განკურნა.

ფარისევლები კი აქაც დასდევდნენ საცდუნებლად და ათასგვარ ხრიკებს მიმართავდნენ.

ერთხელ, მაცხოვარს ჰკითხეს, აქვს თუ არა უფლება კაცს ნებისმიერი მიზეზით გაუშვას ცოლი; რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: რომ შეუღლების შემდეგ, ცოლ-ქმარი ორნი კი აღარ არიან, **„არამედ ერთ ხორც. ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“** და მხოლოდ სიძვის შემთხვევაში ამართლებდა მეუღლეთა კანონიერად განშორებას.

ერთი მდიდარი ჭაბუკი მივიდა იესოსთან და ჰკითხა: **„რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?**

დაიცავი მცნებანი: **„არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო; პატივი ეცი მამასა შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“,** — უპასუხა იესომ.

გახარებულმა ჭაბუკმა მაშინვე წარმოსთქვა: **„ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან; რაღა მაკლია კიდევ?“** მაცხოვარმა მიუგო, რომ თუ სურვილი ჰქონდა გამხდარიყო სრულქმნილი, მთელი თავისი სიმდიდრე დაერიგებინა გაჭირვებულთათვის და შემდეგ გაჰყოლოდა მას.

ვერ შეელია ჭაბუკი სიმდიდრეს და დაღონებული წავიდა.

მაშინ **„იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდიდარი ძნელად თუ შევა ცათა სასუფეველში“,** აქლემის გაძრომა უფრო იოლია ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღვთის სასუფეველში.

მაშ ვინღა ცხონდება? — ჰკითხეს მოწაფეებმა. **„შეხედა იესომ და უთხრა მათ: ეს შეუძლებელია კაცთათვის, ღმერთისთვის კი ყველაფერი შესაძლებელია“.**

ერთხელ, პეტრემ ჰკითხა იესოს, თუ რა ელოდათ მის მოწაფეებს, რომლებმაც ყველაფერი მიატოვეს და გაჰყვნენ მას რთულ გზაზე.

მაცხოვარმა უპასუხა, რომ ყველა, ვინც მის გზას გაჰყვება, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს მეორედ შობისას, **„მაგრამ მრავალი პირველი იქნება უკანასკნელი, და უკანასკნელი – პირველი“** და ასეთი იგავი უამბო მათ:

– ოჯახის პატრონი დილაუთენია გამოვიდა სახლიდან, რათა თავის ვენახში სამუშაოდ დაექირავებინა მუშები.

მოძებნა კიდეც და თითოეულს თითო დინარად გაურიგდა.

სამი საათის შემდეგ, დამატებით კიდევ დაიქირავა ახალი მუშები.

დღის ბოლოს კი, დაინახა სრულიად უქმად მდგომი სხვა მუშები და ჰკითხა მათ, რატომ იყვნენ უქმად. **„მათ უთხრეს: იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა. ხოლო მან თქვა: წადით თქვენც ჩემს ვენახში და რაც გერგებათ მოგცემთ“.**

ყველამ ერთად დაამთავრა სამუშაო და ვენახის პატრონმაც, დაპირებისამებრ, თითოეულს თითო დინარი ჩამოურიგა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ORHAN BERIDZE,
სტამბოლი

ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ!

„მაშ, ვცნოთ, რომ ერთი ვართ,
ერთი მამის შვილთა-შვილი,
საქართველოს შვილები ვართ,
ერთ ძუძუზე გამოზრდილი“.

ნება მომეცით ყველას მოგესალმოთ. მე ვარ ორჰან ბერიძე, თურქეთში მცხოვრები ადგილობრივი ჩვენებური ქართველი. ქართული ჩემი დედა ენაა, საუბარი ისე კარგად არ ვიცი, როგორც მინდა რომ ვიცოდე. წერა-კითხვა ვისწავლე სტამბოლის ქართულ ასოციაციაში, ახლა კი ქართულ ენას შეძლებისდაგვარად ჩვენებურებს სიამოვნებით ვასწავლი, მაგრამ საუბარს კარგად ვერ ვახერხებ.

მე დავიბადე თურქეთში ქ.გირესუნში. 25 წლის შემდეგ წავედი სტამბულში და ვცხოვრობ სტამბულში. საქართველო ჩემი მშობლიური სამშობლოა. ჩემი დედა თურქი იყო, ხოლო მამა — ორიგინალური ქართველი. გეტყვით, რატომ იყო ორიგინალი ქართველი. მამამ თურქული საერთოდ არ იცოდა, მისთვის უცხო ენა იყო თურქული. მხოლოდ 15 წლის ასაკში უსწავლია და სიცოცხლის ბოლომდე ცუდი კილოით საუბრობდა თურქულად. სამაგიეროდ, როცა ქართულად იტყოდა რამეს, მის მოსმენას არაფერი სჯობდა. მაშინ ჩემთვის ქართული და საქართველო არაფერს არ მეუბნებოდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცოდი ქართულად. მამა ქართველობის შესახებ ყველაფერს მიყვებოდა, მეუბნებოდა, რომ ყველა ქართველი ჩვენი ნათესავიაო, ქართულია ჩვენი მშობლიური ენაო. სამწუხაროდ, 1994 წელს მამა გარდაიცვალა.

2004 წელს დავაარსეთ ქართული ასოციაცია.ზოგები, ქართველები, აქაური კილოთი საუბრობენ ქართულად, მაგრამ, უმეტესობამ, არ ვიცოდით ქართული. ვიპოვეთ ერთი მასწავლებელი და ვისწავლეთ, ვნახოთ როგორია ეს ჩვენი ქართული ენაო. ასე მობრძანდა ჩვენთან ქალბატონი მანანა გურგენიძე, რომელმაც გვასწავლა ჩვენი მშობლიური ენა, აი-ია. ჩემმა მეგობრებმა სწავლა დატოვეს, მაგრამ მე გავაგრძელე და, ბოლოს, ისე ვისწავლე, 3 წელი გაკვეთილები მე ჩავატარე. ბედნიერი ვარ, რომ ბევრს ვასწავლე ქართული, თუმცა მათგან ერთი ლარის ფული არ ამიღია საფასურად. ამ საქმეს წმინდად ვუყურებ, როგორ შეიძლება ადამიანს საკუთარი ენა ასწავლო და ფული გამორთვა?! ჩვენს მასწავლებელს, ქალბატონ მანანა გურგენიძეს, დიდი შრომა აქვს გაწეული. ქალბატონმა მანანამ თურქეთელი ქართველებისთვის, ქართული ენის უკეთ შესწავლის მიზნით, მოამზადა გრამატიკული სქემები, სასაუბრო დიალოგები და საკითხავი ტექსტები. ის დღესაც აგრძელებს ქართული ენის მასწავლებლად, მოხალისედ მუშაობას ქართული კულტურის ცენტრში. გაკვეთილზე რომ ვნახე ჩვენი ასო-ბგერები, ძალიან უცხო იყო ჩემთვის, მაგრამ სითბოს ვგრძნობდი ამ ბგერებიდან. ძალიან ჭკვიანად ვუყურებდი ასო-ბგერების სწავლას და შევიყვარე. ჩუმ-ჩუმად, წინასწარ ვსწავლობდი ხოლმე გაკვეთილებს და ხანდახან მიბრაზდებოდა მასწავლებელი, რომ ძალიან გაუსწრებ მეგობრებსო. ერთხელ სახლში მოვედი, გავაღე დედა-ენა და მომავალი გაკვეთილი იყო — ხ. მარტო ვიყავი და ხმამაღლა დავიწყე კითხვა თ-თ-თ-ოხ-ი და რომ გავიაზრე ეს სიტყვა, გამატირა, ცრემლები წამომივიდა. გულჩვილი ადამიანი არა ვარ, მამა რო წავიდა, მაშინაც კი არ მიტირია, მაგრამ თოხ სიტყვამ გამატირა, რადგან ჩემი წინაპარი გამახსენდა. ჩვენი უფროსი თაობა აჭარული კილოთი ამბობდა ხოლმე — თოხი ამეიტაიო და ეს გამახსენდა. ერთხელ, შუა ღამე იყო, დაწოლილ ვიყავი და მეძინა, სიზმარშიც კი გაკვეთილს ვმუშაობდი და ერთი სიტყვა ვერ გავიხსენე, იმდენად გავწვალდი, რომ გამეღვიძა. ავდექი ლოგინიდან, მივედი მეორე ოთახში, წიგნში ვნახე ეს სიტყვა და ისევ დავწექი. როდესაც ჩამეძინა, სადაც შევწყვიტე, ზუსტად იქიდან გავაგრძელე სიზმარი. ბედნიერი კაცი ვარ, რომ დედა-ენა ვთარგმნე თურქულ ენაზე. „დედა-ენა“ საქართველოს ბავშვებისთვისაა მომზადებული და მე აქაურებისთვის ქართული სიტყვები დავწერე ლათინური ბგერებით, რომ ადვილი წასაკითხი ყოფილიყო. ისე მაგრად ვასწავლი, რომ პირველივე გაკვეთილზე კომპიუტერზე დაწერა ჩემმა მოსწავლემ — „აი-ია“. კიდევ ერთხელ ავედი მამას საფლავზე და, ასე მეგონა, პირადად ველაპარაკე, რადგან ქართულად ველაპარაკებოდი. ვუთხარი: მამა, შენ რომ ბავშვობისას ქართულად საუბრობდი ბიძაებთან, მაშინ არაფერ მესმოდა, ახლა მე კითხვაც ვიცი და წერაც, ლაპარაკიც გამართულად შემიძლია. ვუთხარი: ბაბუებო, მამა, ერთი საათით ადექით, ქართულად ვისაუბროთ და მერე ერთად დავწვეთ საფლავში-მეთქი. მინდა ყველას მადლობა მოვუხადო, ვინც ქართულად მესაუბრება. ამდენად, საუბარი დაუსწრებელი სწავლით ვისწავლე. სადაც კი სიტყვის თქმა მიწევს ტელევიზორებში, ბევრი კონფერენციებში და სხვ. ყველგან ხმამაღლა ვამბობ, რომ მე ვარ ქართველი. ჩემი ქართველობის გამო ყველა პატივს მცემს და მიხარია. ჩემს ბავშვობაში საქართველო არ თქვა, რუსეთი ამბობდნენ და სარფის იქეთა მხარზე ძალიან ცუდ რაღაცეებ ვიცოდით. ამბობდნენ — მსოფლიოში რაც კი ცუდია, იქითააო. ალბათ მანდეთ პირიქით ამბობდნენ თურქეთზე.

საბედნიეროდ, დღეს ასე აღარაა, ჩვენ ძმები ვართ. ჩვენ ძალიან გვიყვარს საქართველო. ქართველობა ჩვენი ქოლგაა, რელიგიები, კუთხეები, ფერები, კულტურები და სხვ. ეს ყველაფერი ქართველობის მერე მოვა. შარშან ჩემი შვილი მყავდა საქართველოში, წელსაც შვილი და მეუღლე მყავდა და მეჩეთში მივიყვანე, ეს ჩვენი სამლოცველოა-მეთქი და მერე ეკლესიაში წავიყვანე და ეს ჩვენი ძმების რელიგიაა-მეთქი, — ვუთხარი. არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად ვცხოვრობთ, ჩვენ ძმები ვართ, რადგან ქართველები გვქვია. თურქეთის ქართველი, საქართველოს ქართველი, ირანის ქართველი და სხვ. არ აქვს მნიშვნელობა — ქართველი ქართველია. ძალიან გვახარებს ისიც, რომ საქართველო ჩვენი ამჟამინდელი სამშობლოს — თურქეთის კეთილი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა. გვჯერა, რომ კავშირები საქართველოსა და თურქეთს და მსოფლიოში მცხოვრებ ქართულ საზოგადოებებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება და მსგავსი გადაცემებები თავის წვლილს შეიტანს ამ კეთილშობილურ საქმეში. ჩვენ, თურქეთში მცხოვრები ქართველები, საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობრები, ნათესავები ვართ. ჩვენ ვართ ერთი სისხლი და ხორცი!

თურქეთში მცხოვრები ადგილობრივი ჩვენებური ქართველები ძველი აჭარული, იმერული და მაჭახლური კილოთი საუბრობენ, წერა-კითხვა არ იციან. მართალია, ბოლო წლებში ბევრმა ადამიანმა ისწავლა ქართული, მაგრამ ყველას სწავლისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსები სჭირდება. შარშან, თურქეთის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც, სურვილის შემთხვევაში, სკოლებში შესაძლებელი გახდება ქართული ენის სწავლება. ამისათვის საჭიროა 10 მოსწავლის განაცხადის შეტანა. ჩვენ, თურქეთში მცხოვრებმა ადგილობრივმა ჩვენებურმა ქართველებმა, ამ თემაზე უნდა ვიმუშაოთ, უფრო მეტად ქართულ უბნებში 10-მოსწავლიანი ჯგუფები უნდა დავაარსოთ. საქართველოს განათლების სამინისტროც გაკვეთილების პროგრამების შექმნაზე უნდა დაგვეხმაროს. ასე, ყველა თურქეთში მცხოვრები ადგილობრივი ჩვენებური ქართველი ისწავლის დედაენას და არ დაიკარგება ქართული ენა. დღეს რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველოდან წამოსული ქართველი ემიგრანტები მშობლიურ ენას კარგავენ, ჩვენ კი 1,5 საუკუნემდე დედასამშობლოს მოწყვეტილი ვცხოვრობდით და ქართული არ დაგვვიწყებია. ამის გამო წინაპრებისაგან დავალებულები ვართ. ქართული ენის ჩვენი შვილებისათვის შესანარჩუნებლად, ასეთი და მსგავს გადაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოდან თურქეთში ჩამოსული ახალი ემიგრანტებისთვის თურქული კურსების დაარსებას დიდი მნიშვნელობა აქვს. უცხოეთში უენოდ ცხოვრება და მუშაობა ძალიან ძნელია და პრობლემებს ქმნის.

თურქეთის პარლამენტში რამდენიმე წლის წინ, კიდევ ერთი საინტერესო კანონი მიიღეს, კერძოდ, ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც უცხო ენაში სახელმწიფო გამოცდას ჩააბარებს, ხელფასს მოუმატებენ. ამ ენათა სიაში ქართულიც შევიდა. ესეც დამატებითი მოტივაციაა ქართული ენის შესასწავლად.

თურქეთში მცხოვრები ადგილობრივი ჩვენებური ქართველები უმცირესობა არა ვართ. ჩვენ ვართ თურქეთში მცხოვრები ადგილობრივი ჩვენებური ქართველები. თურქეთი ჩვენი სამშობლოა, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ. გვინდა, რომ არ დაიკარგოს ჩვენი ენა და კულტურა. ჩვენი ბავშვები თურქულის გარდა ქართულსაც უნდა სწავლობდნენ. ჩვენ, თურქეთის ქართველები, ახლანდელი სამშობლოს — თურქეთისთვის და მშობლიური სამშობლოს — საქართველოსთვის, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლები ვართ. ორი ქვეყნის მეგობრობისათვის მეგობრობის ხიდივით უნდა დავდგეთ. ისტორიულად ცნობილია, რომ ბევრი ქართველი წასულა ემიგრანტად სხვა ქვეყნებში. დღეს მსოფლიოს 37 ქვეყანაში ცხოვრობენ ქართველები — თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ირანსა და სხვ. რაც შეეხება თურქეთს, ჩემი აზრით — 4-5-6 მილიონი ქართველი ცხოვრობს. ეს რიცხვები იმიტომ ვთქვი, რომ ბევრი მათგანი სხვა ერის ადამიანებზე დაქორწინდნენ. ზოგის ბებია ქართველია, ზოგის ბაბუა, ზოგი დედის მხრიდან არის ქართველი და, ზოგიც — მამის მხრიდან. მაგალითად, მე დედა თურქი მყავს, მამა — ქართველი. ბაბუას ბაბუა გადმოსულა საქართველოდან. თურქეთში მოსახლეობის აღწერა ოფიციალურად რომ არ ხდება, ამიტომ, ამ თემაზე საუბარი ძნელია. ზუსტად არ ვიცით, რამდენი ქართველი ცხოვრობს ქვეყანაში. ხშირად მეკითხებიან ამ საკითხთან დაკავშირებით და ამიტომ, მსურს მაყურებელსაც ვუთხრა, რომ თურქეთში ის ქართველები, ვისაც, ცოტად თუ ბევრად ქართულად საუბარი შეუძლია, დაახლოებით 1-1,5 მილიონი ადამიანია. თურქეთის 2/3 (ორი მესამედი) ტერიტორიაზე, 65-ზე მეტ ქალაქში ცხოვრობენ მუჰაჯირი ქართველები.

მაშინდელმა ოსმალეთის მმართველმა, მეფე აბდულჰამითმა, ამ მუჰაჯირ ქართველებს ძალიან დიდი დახმარება გაუწია. მაგალითად, ახლანდელი სტამბოლის ცენტრში არსებულ გალათას ხიდზე, გადასახადი დაუწესებია, რომ საქართველოდან ჩამოსულ მუჰაჯირებს დახმარებოდნენ. ოსმალეთის არქივებში, ბევრი მსგავსი დოკუმენტი არსებობს. ძველი ქართული დროშები, ქართველ მეფეების ბარათები, ბეჭდები და ა.შ.

ქართველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დავიბადეთ და სხვადასხვა კულტურების წიაღში გავიზარდეთ და სხვადასხვა მენტალიტეტის მატარებლები ვართ. ესეც ნორმალურია. რას გეუბნებით: ჩვენ ერთმანეთის მიმართ უფრო მეტად ტოლერანტული უნდა ვიყოთ და ერთმანეთს პატივი ვცეთ. მაგალითად; პოლიტიკურად, მე პირადად, ყველა პარტიებისაგან შორსა ვარ და ყველას პატივს ვცემ. საქართველოს პოლიტიკაზე მსჯელობა საქართველოს მოქალაქეების უფლებაა. სიტყვაზე, საქართველოში ხმის მიცემა საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეების უფლებაა. ვინც საქართველოში აპირებს პოლიტიკას, 6 თვე უნდა იცხოვროს და მერე მიიღოს უფლება.

თურქეთში მცხოვრები ქართველები მუდმივად თვალს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ქართველ და-ძმებთან ერთად გვახარებს მიღწეული წარმატებები და გულს გვტკენს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები. რაც შეეხება საქართველოს მომავალს, ძალიან იმედიანად ვართ, რომ საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო. დიდად გვახარებს ბოლო წლებში საქართველოსა და მსოფლიოში მცხოვრები ქართველი თანამემამულეების თურქეთში მცხოვრები ადგილობრივ ჩვენებურ ქართველებთან ურთიერთობა. გვსურს ჩვენი გარკვეული წვლილი შევიტანოთ საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. ჩვენ ვართ ერთი ოჯახი!

ასევე გვსურს, საქართველო ეკონომიკურად, დემოკრატიურად გაძლიერდეს. შვეიცარიასავით მსოფლიოს ფინანსური ცენტრი იყოს საქართველოც. საქართველო-თურქეთს შორის სავიზო რეჟიმი არ არსებობს. თურქეთის მოქალაქეობის პირადი მოწმობით წასვლა მხოლოდ საქართველოში არის შესაძლებელი. პირადი მოწმობით, უვიზოდ, შესაძლებელია საქართველოში 3 თვე დარჩე ტურისტულად. სხვა ქვეყნებთან ასეთი კანონი არ გვაქვს. ტურისტული კვლევების მიხედვით, საქართველოდან თურქეთში შემოსულთა რაოდენობა 25%-ია. ეს ხალხი მხოლოდ ტურისტები არ არიან, ბევრი მათგანი სამუშაოდ ჩამოდის აქამდე. ეს ადამიანები, არალეგალურად მუშაობენ. შარშან კი თურქეთის მთავრობამ კანონი მიიღო და ახლა უკვე, ოფიციალურად ცხოვრებისა და მუშაობის უფლება აქვთ, ქართველების მუშაობა თურქეთში გაადვილდა. სტამბოლში ისეთი ქუჩებიც არსებობს, სადაც სულ ქართულად საუბრობენ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, აქსარაი და ლალელი. ძალიან ბევრი ქართველი ქალბატონი მუშაობს თურქეთში, ძალიან წესიერი ადამიანები არიან და ძალიან პატიოსნად მუშაობენ. ქართველი ქალბატონებზე „ნატაშას“ კულტურა, ანუ არაპატიოსანი ცხოვრების წესი, არ ვრცელდება. მაგალითად, ქართველი რძლისათვის დედამთილ-მამათილისა და დედ-მამის პატივისცემა და მოვლა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, სახლში დამხმარედ სამუშაოდ, ქართველ ქალბატონებს არჩევენ, რადგან სანდოებად მიაჩნიათ. ბევრი თურქი ბიზნესმენი საქართველოში მუშაობს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველო და თურქეთი ახლო და მეგობარი ქვეყნებია. ეს მეგობრული ურთიერთობა, ჩვენს მტრებს არ მოსწონთ. განსაკუთრებით კი მათ ხელმძღვანელებს. მაგალითად, საქართველოში, სოციალურ ქსელებში, ზოგიერთები, რუკებს აზიარებენ, სადაც ამბობენ, რომ გირესუნამდე ჩვენი ტერიტორია იყოო. ზოგიერთები, თურქეთშიც აზიარებენ ასეთ რუკებს, თითქოს აჭარა და ბათუმი, თურქეთის ფარგლებში რჩება, თითქოს ბათუმი, თურქეთის მიწა-წყალია. 1920 წელს ბათუმი თურქეთის შემადგენლობაში რომ ყოფილა, ამის გამო თვლიან ასე. ეს არასწორია. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ბათუმი საქართველოს მიწა-წყალია. ართვინი თურქეთის ქალაქია. მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება, ამ საკითხის შესახებ: ამ ხალხს ორ ჯგუფად ვყოფ. პირველი — ეს ის ხალხია, ვისაც თურქეთსა და საქართველოს შორის მშვიდობა არ სურს. ასეთები ნების-

დასასრული მე-10 გვ. ▶

მერაბ ბერიძე

ძვირფასო მკითხველო, საქართველოში პრობლემებს რა გამოლევს, მით უფრო ისეთს, რომელიც ერის თვითმყოფადობას საფრთხეს უქმნის. არადა, ერთია ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და, მეორე — ეროვნულ პრობლემებზე ზრუნვა.
დღევანდელ ინტერვიუში შევეცდებით ზოგიერთ მათგანზე საჯაროდ ვიმსჯელოთ, შემოგთავაზოთ მოსაზრებები, მომავალში კი იქნება ეს საუბრები უფრო კონკრეტული გავხადოთ და შეძლებისდაგვარად ავხსნათ ამ პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები, რაც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს მათ დაძლევას. ამ საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე



— ბატონო მერაბ, უპირველესად, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მინდა მოგილოცოთ, ა(ა)იპ-ის ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთება. ცხადია, რომ არა თქვენი ძალისხმევა, იგი, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. მსგავსი გადაწყვეტილება რეგიონულ უნივერსიტეტებში ხომ მხოლოდ აქ განხორციელდა. იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველები უფრო ღრმად ჩავახედოთ უნივერსიტეტის არსში. რა მოგვიტანა ამ ცვლილებამ?

— რეგიონების უნივერსიტეტებიდან სამი — ზუგდიდის, გორისა და ჩვენი უნივერსიტეტი იყვნენ სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტები. ახლა განვმარტავ, რას ნიშნავს სასწავლო და სახელმწიფო უნივერსიტეტები.

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს აქვს სწავლების ორი საფეხური. ეს არის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. ასეთი იყო ჩვენი უნივერსიტეტიც. ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიშნავს, რომ გვაქვს მესამე საფეხურიც — დოქტორანტურა. ე.ი. შეგვიძლია სწავლა შევთავაზოთ სტუდენტებს ბაკალავრიატში ოთხი წლის განმავლობაში, მაგისტრატურაში — 2 და დოქტორანტურაში — სამი წლის განმავლობაში. ე.ი., თუ ჩვენთან შემოვა სტუდენტი, მას შეუძლია 10 წლის განმავლობაში ისწავლოს და შემდეგ დაიცვას სადოქტორო დისერტაცია. აბიტურიენტობიდან — დოქტორანტურამდე, — ეს გზა სტუდენტს შეუძლია გაიაროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რას გვაძლევს ეს, ზოგადად? უნივერსიტეტი ნიშნავს მეცნიერებას და სწავლებას, სწავლებას და მეცნიერებას, ე.ი. მეცნიერი, რომელიც მეცნიერულ საქმიანობას ეწევა ამა თუ იმ დარგსა თუ მიმართულებაში, შემდეგ ის თავის ნააზრევ-ნაკვლევს გადასცემს სტუდენტებს, ასეთ შემთხვევაში, ახლოს არის სამეცნიერო და სასწავლო პროცესი ერთმანეთთან. ჩვენი უნივერსიტეტი სრული დატვირთვით ჩაერთვება ამ ორი კომპონენტის — სწავლების და მეცნიერების ერთობლიობაში. ამ ორი კომპონენტით იმუშავებს სტუდენტებთან. და კიდევ: ყველა უნივერსიტეტს ქვეყანაში თავისი გარკვეული სახე აქვს. ტირაჟირება უნივერსიტეტებისა აღარ ხდება. ყველამ რომ გაიმეოროს ერთმანეთი, ამჟამად ასეთი რამ აღარ ხდება და არც სასურველია. თითოეულ უნივერსიტეტს აქვს თავისი პროფილი, სახე, რითაც ის განსხვავდება სხვა უნივერსიტეტებისაგან.

რით შეიძლება განსხვავდებოდეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა უნივერსიტეტებისაგან? პირველ რიგში, შემიძლია ვთქვა, რომ ის ორი პროგრამა, რითაც ჩვენ გავედით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსზე, საინტერესოა თავისი არსით: პირველ რიგში, ჩვენ ერთადერთი უნივერსიტეტი ვართ, სადაც იქნება სადოქტორო საბჭო, რომელზეც დაიცავენ დისერტაციას ასტრონომიის მიმართულებაში. ასეთი საბჭო დღემდე არ არსებობდა და იქნება მხოლოდ ჩენთან. იგი წარმოდგენილია სხვა მეცნიერებითაც, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის სახელობის და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მეცნიერებით. შეიქმნება ერთგვარი გაერთიანება, რომელიც მაღალ კვალიფიციურ დოქტორებს გამოუშვებენ. არის თუ არა ეს გარკვეულად განსხვავებული სახე სხვა უნივერსიტეტებისაგან? რა თქმა უნდა, არის! ამასთან, ჩვენი მეორე საბჭო არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო საბჭო, სადაც ოთხი მიმართულებით მოხდება დისერტაციების დაცვა. ეს გახლავთ — ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ეთნოლოგია, ისტორია. ერთი შეხედვით, ამ ტიპის საბჭო ბევრ უნივერსიტეტს აქვს, მაგრამ ჩვენ პრინციპულად დოქტორანტურაში ჩვენი სადოქტორო პროგრამა რეგიონის პრობლემატიკიდან გამომდინარეა შექმნილი და ძირითადად ლინგვისტურ-დიალექტურ, ისტორიულ-დიალექტურ, ონომასტიკურ, ეთნოლოგიურ-ისტორიულ თუ თანამედროვე ზოგად პრობლემებს მოიცავს. ესაა ჩვენი კვლევის ობიექტი. ვგულისხმობ ამჟამინდელ სამცხე-ჯავახეთს და ისტორიულ მესხეთს თავის ისტორიულ ფარგლებში. ე.ი. სამცხე-ჯავახეთს პლუს — ტაო-კლარჯეთი. რა თქმა უნდა, თურქეთი არის ამ ნაწილის კულტურული მემკვიდრე, მაგრამ ჩვენ ვართ იმ ისტორიის შემქმნელები და არ ვიქნებით მართლები, თუკი ჩვენც არ გამოვიკვლევთ ამ ნაწილს. ახლა საკითხი ასე დავსვათ: როდესაც ჩვენ პრეტენზიას ვაცხადებთ ვინმეს მიმართ, ეს ხომ არ არის მათი შეზღუდვა? არავითარ შემთხვევაში! პირიქით, ჩვენ კორდინირებას გავუწევთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული სხვა მეცნიერებიც აქეთ მოვიზიდოთ, ან მათთან ერთად შევქმნათ სამეცნიერო პროდუქცია და გამოცემითაც შევუწყოთ ხელი, რომ კიდევ უფრო წინ წავწიოთ ეს საქმე. ესაა ის სიახლე, რაც, რა თქმა უნდა, ახლავს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. კიდევ ერთი: ეს ყველაფერი იქნება სტუდენტებისთვის, მეცნიერული კვლევები აისახება იმ ლექციებში, რომლებსაც ვკითხულობთ სტუდენტებთან და იმ მაგისტრანტებთან, ვისთანაც ამჟამად ვმუშაობთ.

— როგორც თქვით, თქვენი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი მიზანი, არა მარტო სტუდენტთა აღზრდა-სწავლებაა, არამედ, უპირველესად, მომავალი კადრებით უზრუნველყოფა, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის ბედი და მომავალი. მოდით, ზოგადად შევეხოთ იმ პრობლემებს, რომელიც რეგიონისა და ქვეყნის წინაშე დგას კვალიფიციური კადრების როგორც მომზადების, ასევე რესპუბლიკიდან მათი გადინების გამო.

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი მიზეზი, ფაქტორი თუ არგუმენტი, სწორედ ეს საქმე იყო. ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც თსუ-ის ფილიალად ჩამოვყალიბდით, მთავარი მიზანი რეგიონისათვის და სრულიად საქართველოსთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება გახლდათ. დღეს ეს საკითხი ასე დგას: აღვზარდეთ თუ არა კვალიფიციური კადრები?

დღეს კადრების მომზადებისას ნებისმიერი მიმართულებით, პირველ რიგში, ვიკვლევთ ბაზარს — გვესაჭიროება თუ არა ეს თუ ის კადრი? არის ზოგიერთი სპეციალობა, რომელსაც კვლევა არ სჭირდება, ტრადიციული საუნივერსიტეტო დარგები უნდა არსებობდეს, იგი ბაზარს სჭირდება თუ არა. დღეს, ჩვენ, ყველა შემთხვევაში, ვიკვლევთ ბაზარს. ასე იყო ადრეც, როდესაც სიახლეები შემოგვქონდა უნივერსიტეტის ისტორიაში. სხვადასხვა მიმართულებით მე ხშირად მიწევს რეგიონის საგანმანათლებლო, სამხარეო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა, ვიკვლევთ მეორე მხარესაც, რამდენად საქმდებიან ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები? თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი სიცარიელე დარჩებოდა, სამცხე-ჯავახეთში, რომ არ ყოფილიყო ჩვენი უნივერსიტეტი! ეს სიცარიელე რით შეივსებოდა, ვერ გეტყვი, მაგრამ, რომ არ გვქონოდა იურიდიული ფაკულტეტი, ჩვენ დიდი პრობლემა დაგვიდგებოდა ძალოვან სტურუქტურებში, ასევე პრობლემა გვექნებოდა კომპიუტერულ სისტემაში, ბანკებში, ადმინისტრაციებში, სასწავლო დაწესებულებებში. აქ, თითქმის ყველგან, ჩვენი კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები. რა თქმა უნდა, არიან უფროსი თაობის წარმოამადგენლებიც, მაგრამ უკვე საკმაოდ დიდი ნაწილია ჩვენი კურსდამთავრებულებისა ამ სფეროებში. პრობლემა შეიქმნებოდა ხელოვნების მიმართულებითაც — არ გვეყოლებოდა ქვის, ლითონის, ხის მასალის დამუშავებისა და რესტავრაციის მიმართულებით კადრები. ზემოთ ასტრონომიის მიმართულებაზე მოგახსენებდით, რომელიც ერთადერთია ჩვენთან, წელს კი უკვე მათემატიკის მიმართულებით სრული ჯგუფი გვყავდა, მომავალ სასწავლო წელს გვინდა ფიზიკაშიც ანალოგიურ შედეგს მივაღწიოთ. ე.ი. ძირითადად ისე ვმუშაობთ, რომ რეგიონის პრობლემებისაგან გამომდინარე, კადრების პრობლემა გადაწყვეტილი იქნას. ახლა გვაქვს ახალი სპეციალობა — იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიტანეთ საჯარო მართველობის სპეციალობა, სადაც მომავალი ადმინისტრატორები, მართვის ორგანოების თანამშრომლებად უნდა გაიზარდონ, ეს აპრობირებული სპეციალობაა მთელ მსოფლიოში. ისინი დასაქმდებიან სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ფაქტია, ამ სისტემაში ისეთი კადრებია დასაქმებული, რომლებსაც არ ძალუძთ შესაბამისად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. ჩვენ ამ სფეროში მოვამზადებთ კვალიფიციურ კადრებს. რა თქმა უნდა, ამას სხვა კომპონენტიც სჭირდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, წინასწარი საგანმანათლებლო სტატია განვლილი ექნება.

— ახლახან დამთავრდა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი. რას უნდა ველოდოთ ამ ხელშეკრულების გაფორმებით? თქვენი აზრით, კიდევ უფრო ხელს შეუწყობს თუ არა იგი კადრების გადინებას ევროპაში?

— ბოლოდან დავიწყებ. საქართველოდან მიდის ორი კატეგორია: გაჭირვებული ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანებში ეძებენ სამსახურს, წელებზე ფეხს იდგამენ, დღე და ღამ შრომობენ, რომ არა მარტო თავი გადაირჩინონ, არამედ საქართველოში დარჩენილი ოჯახები გამოკვებონ; მეორე — წარმატებულ ადამიანთა კატეგორიაა, რომელთაც არ აქვთ არენა საკუთარ სამშობლოში თავისი იდეების, თავისი პროფესიონალიზმის რეალიზაციისა და ამიტომაც მიდიან სხვა დიდ ქვეყნებში მიზნის მისაღწევად. ამ ორივე გადინებულ კადრებს ერთი უმთავრესი შედეგი მოჰყვება: მაპატიოს ყველა სხვა ეროვნების ადამიანმა, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან, მე ძირითადად ქართველებზე მოგახსენებ, სამშობლოდან გასული ქართველი კაცი მიდის საქართველოდან და დაბრუნდება თუ არა უკან, ესაა უმთავრესი პრობლემა. და კიდევ, ის ადამიანი, რომელიც ევროპასა თუ ამერიკაში შექმნის ოჯახს, თავის შთამომავალს გაზრდის კი იმ პრინციპით, რასაც ქართველი ჰქვია? ეცოდინება თუ არა ქართული ორი ღერი მაინც, რომ ფესვებს არ მოსწყდეს? ეს ნურავის ნუ გაუკვირდება. ზოგი ფიქრობს — რა საჭიროა ფესვები, ჩვენი წარსული, დღევანდელობა, თუ კაცი კარგად იცხოვრებს? არა, ბატონებო! დღეს ამერიკელები თავიანთ ფესვებს ევროპაში ეძებენ, ვინ საიდანაა წასული, როდის, რომელ საუკუნეში, მოძებნიან თავიანთ ძირებს და ეს მათთვის დიდი ბედნიერებაა. ასე რომ, ჩვენ მერე საძებარი რომ არ გაგვიხდეს იგი, ამ პრობლემაზე ფიქრი დღეიდანვეა საჭირო. რა მოხდება თუკი ჩვენ, ისეთი განვითარებული ტექნოლოგიები და იმ დონის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა გვექნება, ან განათლების ის სისტემა, რომელიც მისცემს წარმატებულ მეცნიერს საშუალებას, ადგილზე მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია? რატომ წავა მაშინ ის უცხოეთში? — როდესაც მიდის უცხოეთში ასეთი დონის ადამიანი, რომ არ წავიდეს, ეს იქნება დანაშაული, იმიტომ, რომ მასშტაბური ტვინი ამ კატეგორიის ადამიანებისა, ეკუთვნის მთელ მსოფლიოს. მათ თავიანთი თავის შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა მოახმარონ მთელ დედამიწას, რომელიც სიკეთით დაუბრუნდება თავის სამშობლოს. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, გაჭირვებული კაცის პრობლემებს, რომელიც ჩვენთვის უმთავრესია, ჩვენს ირგვლივ მცხოვრებთაგან რამდენია ასეთი და კიდევ რამდენი ემზადება წასასვლელად, ვინ იცის. თუკი მათ ადგილზე შევუქმნით სათანადო პირობებს, წავლენ კი ისინი სხვაგან? რას იღებენ იქ, განა 300-400 დოლარზე მეტი გამომუშავება აქვთ? არა! ერთეულებია, ვისაც „გაუმართლა“ და 500-600 დოლარის ფარგლებში იღებენ გასამსჯელოს. ამ ფარგლებში თუ მათ ხელფასი ექნებათ აქ, ადგილზე, თავის სახლში, მაშინ ეს ხალხი რატომ წავა უცხოეთში სამუშაოდ? სახელმწიფოს სჭირდება რეგულირება ბევრ რამეში. აქ ოჯახიდან გასული კაცის ადგილი გარედან მოსულმა სხვა უცხო ადამიანმა არ უნდა დაიკავოს, იმიტომ, რომ ის უეჭველად დაუბრუნდება თავის სამშობლოს, ოჯახს. ამიტომ ვფიქრობ, რომ პირიქით, თუ საზღვრების გახსნამ მთელ ევროპას უშველა, ჩვენ რატომ უნდა დაგვაქციოს?! ერთი რამაა, ყველაფერს ისევ და ისევ ეროვნული საფუძველი სჭირდება და არა ურა პატრიოტიზმი, რაც ხშირად უაზრო ყვირილია და სხვა არაფერი. გასული კაცისთვის ადგილი უნდა იყოს აქ. გასვლის საშუალებაც ჰქონდეს და ნებისმიერ დროს — უკან დაბრუნებისაც, რადგან მას სხვა სამშობლო არ გააჩნია. შეიძლება სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნისა, როლებიც ჩვენთან ცხოვრობენ, აქედან სამუდამოდ წავიდეს, მოიარონ მთელი მსოფლიო და თავის ქვეყანაში სხვაგან დაბრუნდნენ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ქართველი კაცი სხვაგან სად უნდა დაბრუნდეს?

— წეღან ჩვენ კადრების მომზადებას შევეხეთ. თქვენი აზრით, რეგიონიდან კადრების გადინებას ძირითადად რა იწვევს და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ისინი დამაგრდნენ ადგილებზე. ცხადია, ყველას სახელმწიფო ვერ დაასაქმებს, არადა, ინტელექტუალური კადრების გადინება კატასტროფულად იზრდება და ფაქტიურად რეგიონები მათ მწვავე დეფიციტს განიცდიან. განსაკუთრებით ეს პრობლემა ეხება სოფელს და მუნიციპალურ ცენტრებს; რეგიონული ცენტრები შთანთქვენ ამ კადრებს, დედაქალაქი კი — რეგიონებისას.

— ახლა ერთმანეთშია გადახლართული ეს პრობლემა: ესაა დასაქმება, სამუშაო და განათლება. არის პროცესები, რომლებსაც ვერაფრით შეაჩერებ. რას ვგულისხმობ ამაში? მე-19 საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1860-იან წლებში შენი პაპის პაპა და ჩემი პაპის პაპა ერუშეთის მთებში ცხოვრობდნენ, ბერიებში და მაგ პერიოდში ჩამოდიან ისინი ცოტა დაბლა — დადეშში; მე-20 საუკუნეში დადეშიდან ჩამოდიან ასპინძაში, 21-ე საუკუნეში — ზოგი ასპინძაშია, ზოგი — ახალციხეში, ზოგი — თბილისში. ეს ისეთი ბუნებრივი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ ცვლილებებზე, ზოგადად — ბუნებაზე, კლიმატზე, პროგრესზე და ა.შ. აქ ახლა გარკვეული სახელმწიფოებრივი მიდგომებია საჭირო. წეღან ვთქვი, რომ თუ ადამიანს უცხოეთში უკეთეს პირობებში მოუხდება ცხოვრება, ამ პიროვნებას მსოფლიო მასშტაბები ექნებაო. წავა ეს პიროვნება, არ დაიკარგება. ის იქიდან უფრო ბევრს გააკეთებს თავისი ქვეყნისათვის, ვიდრე აქ რომ ყოფილიყო. დანარჩენი — სიმრავლეა საჭირო, — ერის გამრავლება, გენოფონდის შექმნა! ვერაფერს იზამ, სოფელს სოფლის კადრი სჭირდება, მუნიციპალიტეტს — თავისი კადრი და დედაქალაქს — თავისი. თუ ეს ეტაპობრივად ხდება და სოფლიდან მიდის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტიდან — დედაქალაქში და საფეხურებრივად ადის მაღლა და თანამდებობრივად იწევს წინ, ე.ი. კარიერას იკეთებს, ასეთ რამეს მივესალმები, მაგრამ თუკი სამსართულიანი სახლის პატრონი რაიონიდან წავა თბილისში ან რომელიმე სხვა დიდ ქალაქში და ნახევარ ოთახს, სარდაფს ქირაობს, იქ რომ სული გაიტანოს რაღაცით და იმუშაოს, რა თქმა უნდა, ამას არ მივესალმები. დღეს სოფელს რომ მიხედოს ადამიანმა და ჭკვიანურად მოიქცეს, რაც გასაკეთებელია, გააკეთოს, იმდენი პროექტია სოფლის განვითარებაზე, დამერწმუნეთ, სტუმარიც ბევრი ეყოლება და მასპინძელიც, თვითონაც იცხოვრებს და სხვასაც აცხოვრებს.

— ევროინტეგრაცია უქმნის თუ არა საშიშროებას ჩვენისთანა პატარა ქვეყნების ეროვნულ თვითმყოფადობას?

დასასრული მე-10 გვ. ▶

ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ!

მიერ დროს იქნებიან. მათ არაფერს ვეუბნები, მაინც არ დაგვიჯერებენ. მეორე ნაწილი — ამას ზოგი კეთილი სურვილებით იზიარებს. მაგალითად, მე თურქეთში ვიცნობ ძალიან ბევრ ჩვენებურს, ვინც საქართველოს სინონიმებად ამბობს, ბათუმს და აჭარას, მათთვის ბათუმი და აჭარა, მთლიანად საქართველოს სინონიმებია. ალბათ, როცა ბათუმს, ან აჭარას ამბობენ, გულისხმობენ საქართველოს. იქიდან არიან წარმოშობით მათი ბებია-ბაბუები, იმიტომ ასოცირდება მათთვის ბათუმი და აჭარა საქართველოსთან, მაგრამ ამას საქართველოში ზოგიერთი ცუდად გებულობს ან ზოგი თარჯიმანი ცუდად თარგმნის. თითქოს ბათუმსა და აჭარას, აქ ცალკე, საქართველოსგან მოწყვეტილად ახსენებნენ. თითქოს ბათუმი და აჭარა საქართველო არააო. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმისკენ, თუ რა ხდება ქართულ მედიაში. ძირითადად, თურქეთში ენა არ იციან, ძალიან ცოტამ თუ იცის ქართული, ვინც თვალ-ყურს ადევნებს იქაურ ამბებს. საქართველოშიც, ცოტა ადამიანმა იცის თურქული. ბოლო წლებში მართალია ბევრმა ისწავლა, მაგრამ მაინც ცოტა ადამინმა იცის. მე მთარგმნელი ვარ, თარგმანის ხარისხის გამოც ერთმანეთის ცუდად ესმით, ხანდახან შეიძლება წინადადება არ შეცვლოს მთარგმნელმა, მაგრამ შინაარსის შეცვლა შეუძლია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით, თურქეთის მოქალაქე ქართველები ასეთ თემებს უფრო ფაქიზად უნდა მოეკიდონ, მაგრამ სახელმწიფომაც რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად, უფრო მეტად უნდა იზრუნოს. სხვა თემის მაგალითზე მინდა აგიხსნათ. აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე; საქართველოს ეს რეგიონები, სეპარატისტულად აცხადებენ დამოუკიდებლობას. რუსეთი ამათ ცნობს, ჯარები იქ არის და ა.შ. საქართველოს სახელწიფო კი აცხადებს, ესენი ჩემი ავტონომიური რესბუპლიკებიაო. ხანდახან, თურქეთში, სხვადასხვა ღონისძიებაზე მათ ჯგუფებს ოფიციალურად პატიჟებენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების წარმომადგენლებს. მაგალითად, შარშან, 23 აპრილს, ასე მოხდა საბავშვო დღესასწაულზე. სოციალურ ქსელებში, რა თქმა უნდა, კამათი იწყება — აფხაზეთი თავისუფალი ქვეყანა არ არისო, სხვა ქვეყნის პასპორტით მოდის, მაშინ, საქართველოს პასპორტით უნდა მოვიდესო. ჩემი აზრით, ეს უცნაური მსჯელობებია. თურქეთმა ჯგუფები, რა თქმა უნდა, უნდა დაპატიჟოს. აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიან. აქ სახელმწიფოს დიდი პასუხისმგებლობა აქვს. მან ოქროს შუალედი უნდა იპოვოს. დიპლომატიური შუა გზა, რომ არცერთი მხარე არ განაწყენდეს, რადგან თურქეთს ასეთი მიდგომა არ აქვს, რომ საქართველოს მხარს ვუჭერ და აფხაზებს — არაო, ან აფხაზები მიყვარს, ქართველები — არაო. კავკასიაში ესენი მიყვარს, ისინი — არაო. ასეთი დამოკიდებულება არ აქვს თურქეთს, რადგან კავკასიის ყველა ხალხს ნათესავი ჰყავს თურქეთში, და-ძმები ჰყავს, ახლობლები. თურქეთმა, საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა სცეს. რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს. თურქეთი მშვიდობის მოყვარე ქვეყნის როლში უნდა იყოს. ეს მნიშვნელოვანია ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. თავისუფალი და ფეხზე დამდგარი საქართველო თურქეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთის მთავრობამაც ჯარები უნდა გაიყვანოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ჩვენი და-ძმები უკან უნდა დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. გვინდა მშვიდობა იყოს საქართველოში და მთელ კავკასიაში! ყველა ადამიანი მშვიდობიანად ცხორობდეს თავის სამშობლოში! სხვა თემაზეც მსურს ჩემი აზრი გაგიზიარო; თურქეთში მცხოვრებ ყველა რელიგიის ადამიანს თანადგომას ვუცხადებთ... ჩვენ პატივს ვცემთ თითოეული ადამიანის აღმსარებლობას. ისტორია მეტყველებს თუ რაოდენ ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთობებს სინაგოგის, მეჩეთის და ეკლესიის გვერდიგვერდ აშენება. თურქეთში, ყოველწელს, საქართველოდან ბევრი ადამიანი ჩამოდის. ესენი განსაკუთრებით, სტამბოლში ჩამოდიან. ამ ადამიანთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, მათთვის სამლოცველოს დაარსება შესაძლებელია. სტამბოლში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელ ემიგრანტებს არ აქვთ შესაძლებლობა ქართულ ენაზე მოისმინონ წირვა-ლოცვა. ჩვენ მრავალფეროვანი, მდიდარი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ. ჩვენ ამ საკითხში მათ უნდა დავეხმაროთ. ეს საკითხი, ორი ქვეყანას ურთიერთობაში, ამ რეგიონში მშვიდობისა და მსოფლიო მშვიდობისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოშიც, ჩვენი ერთმორწმუნე მუსლიმი ძმების დახმარებასთან დაკავშირებით, ამბობენ, რომ საქართველოს რელიგიური პრობლემები, საქართველომ უნდა მოაგვაროსო. ვეთანხმები! ეს სწორია, ასე უნდა იყოს, მაგრამ თუ რელიგიური დახმარებაა საჭირო, ესეც ორი ქვეყნის მთავრობებს შორის ინფორმირებით უნდა მოხდეს, რადგან რელიგიური თემები განსაკუთრებულად ფაქიზი თემებია და დიდი სიფრთხილით უნდა გადაწყდეს. ქართველები ისტორიულად ძალიან ნიჭიერ და შემოქმედ ხალხად ვითვლებოდით და ასეა დღესაც. ჩვენში ხომ ქართული სისხლი და გენია, საქართველოს სიყვარულს ყოველთვის გულით ვატარებთ. მე ნამდვილად მეამაყება, რომ ამ პატარა, მაგრამ ძალიან განსაკუთრებული ხალხის შვილი ვარ.

ქართველობა ჩვენი ქოლგაა!

მე ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ „ვეფხისტყაოსანს“. მე ვარ რუსთაველის გამაცოცხლებელი თურქეთში. რამდენიმე თურქულ არხზე და კონფერენციებში ავუხსენი, რას ნიშნავს „ვეფხისტყაოსანი“ და თურქეთის მთავრობას მივმართე, რომ დიდებული „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ქართველის სიამაყეა, ეს ნაწარმოები მსოფლიო შედევრია. „ვეფხისტყაოსანი“ უამრავ ენაზეა თარგმნილი. თურქეთის მთავრობას მინდა ვთხოვო, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტს რუსთაველის სახელი მიანიჭოს და გაიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი კათედრა. საქართველოს მთავრობამაც მსოფლიოში, სადაც ადგილობრივად ქართველები ცხოვრობენ, იქ უნივერსიტეტებში რუსთაველის სახელით „'ვეფხისტყაოსნის'“ კათედრის გახსნა უნდა ითხოვონ.

კიდევ მივმართე რამდენიმეჯერ თურქეთის ტელევიზიებს თხოვნით, რათა ქართული სერიალები მასიურად ჩართონ სატელევიზიო გადაცემაში.

ჩემი აზრით, ასეთი და მსგავსი ორგანიზაციები, არასამთავრო ორგანიზაციები მეტად უნდა დაინტერესდნენ, რადგან სახელმწიფო, ოფიციალურად გარკვეულ დონემდე აგვარებს პრობლემებს, არასამთავრო ორგანიზაციები კი, უფრო მარტივად შეძლებენ ამას. მათ უფრო მეტად მეგობრული ურთიერთობებისათვის და საქმეებისათვის უნდა იმუშაონ. მე ვფიქრობ, ასე უფრო გაძლიერდება კარგი ურთიერთობები. ძალა ერთობაშია!

გაუმარჯოს დედასამშობლოს! მადლობა ღმერთს, რომ ქართველები ვართ! და ვისაც ქართველობა რცხვენია, ვაი იმას! ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ დამარცხებულია! გაუმარჯოს ჩვენს ჯიშს, განსაკუთრებულ მოდგმას, გაუმარჯოს ჩვენს დედასავით საყვარელ დედასამშობლოს!!!

ბოლოს, კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გესალმებით ყველას და გისურვებთ დიდ წარმატებებს!

— რა თქმა უნდა. თუ ჭკუით არ ვიქნებით, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ჩაგვყლაპავს — ევროპა, აზია თუ ამერიკა? იმიტომ რომ პატარა ხარ და ყველას უნდა, რომ რაღაცით შენი ადგილი დაიკავოს. რატომ? იმიტომ, რომ დიდ ქვეყანებს სხვა ამბიციები აქვთ. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა პრობლემები, — თანამედროვე, რომლებიც ახლავს გლობალიზაციას და ეს გლობალიზაცია ისეთი რამეა, რომელსაც ვერ გაექცევი, წინაც ვერ აღუდგები და ვერც გაებუტები. გინდა არ გინდა, მოდის. რა ვქნათ? გავიქცეთ სადმე თუ? ან რა უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ არ ჩაგვყლაპოს?! უმარტივესი რამეა გასაკეთებელი: ახალციხეში რომ შემოდიხარ თურქეთის მხრიდან, ყველგან გხვდებოდა თურქული წარწერები, ახლა არაბული წარწერებიც დაემატა ზედ. ასეა ბორჯომშიც. ქართველი ხომ მუდამ ტოლერანტი იყო და არის დღესაც. მახსენდება გურამიშვილის — „ქართლი ოსმალომ დაიპყრო''... უნდა გამოვფხიზლდეთ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ამის საშუალება არ უნდა მისცეს, ამაზე უნდა დაწესდეს სერიოზული ჯარიმები და გადასახედები, იმიტომ, რომ ეს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. აქ კი რა ხდება — მთელ ქართლს ჩაჰყვები და თურქეთის მანქანები მხოლოდ თავიანთ ბენზოგასამართ სადგურებში ასხამენ საწვავს. ასეთი რამ შეიძლება დავუშვათ? ამას აბრალებენ მერე გლობალიზაციას. ადრე, რუსეთის მმართველობის ხანაში, რუსული წარწერების გამო ვიბრძოდით, არ უნდა იყოს რუსული წარწერები, ქართული უნდა იყოსო. ახლა? ახლა ყველაფერი ჩვენს ხელშია და მაინც ამას არ ვაკეთებთ. გლობალიზაციას რა უნდა დააბრალო, როცა ყველაფერში დამნაშავენი ჩვენა ვართ. ამიტომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მეტი პატივისცემით უნდა მივუდგეთ ტრადიცულ დარგებს. მეტი პატივისცემა უნდა ენას ჩვენსას, — ქართულ ენას, რომელსაც ანაგვიანებს პირველ რიგში ოფიციალური პირი, რომელმაც, რა თქმა უნდა, ცუდად იცის ქართული ენა და არც ფიქრობს, რომ გამოასწოროს. წარმოიდგინეთ, როგორ ცდილობენ ინგლისურის სწავლას, იმიტომ, რომ სხვამ არ გაგვიგოს, რომ ჩვენ ცუდად ვიცით ინგლისური ენა და როგორ არ ცდილობენ ქართული ენის სწავლას, — ქართულია და რა მოხდაო. არა, არ არის ეს სწორი და მართებული! ამიტომ ეს არაა გლობალიზაციის ბრალი. ეს ჩვენი ბრალია! მეტი პატივი უნდა ვცეთ სახელმწიფო ენას და სახელმწიფო ენაზე მეტი ზრუნვაა საჭირო, განსაკუთრებით ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალი ხელისუფლება ამას სერიოზულად მიუდგება.

— საქართველო, დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას, მით უფრო, ჩვენი რეგიონი. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდეს. იმასაც კარგად ვხედავთ, რომ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი კეთდება. მხოლოდ ეკლესიის და, უპირველესად, საქართველოს უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საგანგაშო განცხადებები გვესმის. გასული საუკუნის 90-იან წლებში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი საფუძველი ეროვნულობისათვის ბრძოლა იყო — გარუსების საშიშროება გვქონდა. ერი და ბერი ამიტომაც დადგა ფეხზე. ახლა რა ხდება, აღარც ეროვნულობაზე ვფიქრობთ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) და აღარც ენის დაკარგვის საშიშროება გვადარდებს. ყველაფერი სულერთი გახდა, პატრიოტული სული ფაქტიურად ჩაკვდა. თუ ეროვნულ პოზიციაზე დადექი, მავანი და მავანი პრორუსულობაზე გდებს ბრალს, თუ მთლად ევროპულ ან ამერიკულ პოზიციაზე დადექი, მათთვის ეს პატრიოტიზმია. რას იტყვით ამაზე?

— რა უნდა ვთქვა? დემოგრაფიული პრობლემა საერთოდ სერიოზული და მძიმეა საქართველოსათვის და უცნაურია, რომ, მაგალითად, დემოგრაფიულ პრობლემაზე ხშირად გვესაუბრება და ნოტაციას გვიკითხავს ისეთი ადამიანი, რომელსაც შვილიც კი არასოდეს არ ჰყოლია ცხოვრებაში. გამოვა ვიღაცა ტელევიზიით და ჭკუას გვარიგებს ხოლმე, ვთქვათ, ოჯახის პრობლემებზე — ხუთქმარგამოცვლილი ქალი ან ხუთცოლგამოცვლილი კაცი. ეს მომენტები, ცხადია, პირიქით მოქმედებენ. ხშირად ვრცელდება ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი გამონათქვამები, რაც ადვილად გვრჩება მეხსიერებაში და მას მეტად უგდებენ ყურს ჩვენი ახალგაზრდები. მაგალითად, ზოგჯერ პროგრესად თვლიან — თუ არ მრავლდება ერი, ხოლო გაუნათლებლობის, რეგრესის ნიშნად — თუ ერი მრავლდება. ეს მტრის ნათქვამია და გაზარმაცებულმა ქართველმა კაცმა ეს დაიხვია ხელზე და გამოსულობად და ინტელექტუალობად მიაჩნია თუ მას ერთი შვილი ჰყავს. აბა, ერთი, გადახედეთ, როგორ არის ამ დროს ევროპასა და ამერიკაში? არაა ეს ასე! მაგრამ იქ სწორედ განათლებულობასაც და ავტორიტეტსაც ერთად ოჯახის სიწმინდე და ძალა ჰქმნის. კონკრეტული ფაქტებისაგან ამჯერად თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ ამერიკა, განსაკუთრებით, სადაც შეიქმნა ოჯახის კულტი, მას სხვაგვარად უყურებს. იქ მაინც სხვაგვარად ჩანს დემოგრაფიის პრობლემა. ნებისმიერ ამერიკელს ეროვნულობის სხვა ნიშანი წარმომავლობად აქვს ხოლმე. ჩვენთან, ქართველებში, მთავარი ნიშანი კი ქართველობაა.

როცა დასჭირდებათ, შეიძლება ხვალ-ზეგ გვითხრან: რა საქართველოა, თუკი თქვენ, ქართველები, საქართველოში, უმრავლესობა არა ხართო? რა უნდა გავაკეთოთ, გარდა იმისა, რომ მეტი შთამომავლობაა საჭირო. ვისაც ეს ეხება, უნდა შეუქმნას ჩვენს გენოფონდს ელემენტარული პირობები, რომ ოჯახები გამრავლდნენ. ამიტომ კიდევ და კიდევ სახელმწიფო მიდგომაა საჭირო, რომ წახალისდნენ ისინი. ისე, როგორც ეკლესიამ წაახალისა. წახალისება თითოეული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ მესამე შვილთან დაკავშირებით ხომ შეიძლება?

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მთავარი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაა, რომელიც ოჯახს გამრავლების საშუალებას მისცემს და მეორე — ინტელექტუალური მზადყოფნა საამისოდ, რომ ის მრავლდება არა როგორც ჩვეულებრივი გასამრავლებელი სუბიექტი, არამედ, რომ ის პატრიოტული სულისკვეთებით ამრავლებს ერს, თავის ჯიშს, გენს, ვალს იხდის თავისი ქვეყნისა და ღმერთის წინაშე. ესაა აუცილებელი ფაქტორი, შეგნების ფაქტორი. ადამიანს შვილი რომ ეყოლება, მას გაზრდა და მისთვის ეკონომიკური პირობების შექმნა სჭირდება.

— ჩვენისთანა პატარა ერისთვის ყველაფრისადმი ლიბერალური მიდგომა (აღარ ვშიფრავ ყველაფერს, ისედაც ვიცით, რაზეა საუბარი) აყენებს თუ არა ერს საშიშროების წინაშე. იმოქმედებს თუ არა იგი დემოგრაფიაზე?

— დემოგრაფიაზე ყველაფერი მოქმედებს, განსაკუთრებით ნარკომანია. მოქმედებს ბევრი ისეთი ფაქტორიც, რომელიც დიდი სახელმწიფოებისთვის თითქმის შეუმჩნეველია, მაგრამ ჩვენ, თუნდაც რაღაც პატარა, სხვადასხვა ტიპის დღევანდელი, თანამედროვე წარმონაქმნებიც კი ახალგაზრდობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ. როდესაც ავადმყოფია ადამიანი, მას მკურნალობა, ხელის შეშველება სჭირდება, ხოლო როდესაც ეს ყველაფერი მიზნობრივად და აგრესიით მოდის, რა თქმა უნდა, მას წინააღმდეგობაც დახვდება და აგრესიაც. ამიტომ ჩემი მიდგომა ასეთ შემთხვევაში გახლავთ ის, რომ ნებისმიერ ნაბიჯს, რასაც ლიბერალიზაციას ვეძახით, პროგრესია იმიტომ, რომ ის აგრესიას უპირიპირდება, მაგრამ ლიბერალიზაციით შეფუთულ აგრესიას უეჭველად დახვდება რეალური აგრესია. ამიტომ ეს ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს. აქ ერთი მხარე არ არსებობს, ორივე მხარემ უნდა იფიქროს. ეს მარტივად მოსაგვარებელი პრობლემა არ არის.

— იმედია, ბატონო მერაბ, ჩვენ შემდეგ შეხვედრაზე კვლავ შევეხებით ქვეყნისა თუ რეგიონისათვის საჭირბოროტო საკითხებს, და ვიმსჯელებთ მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებზე.

ინტერვიუს უძღვებოდა

ავთანდილ ბერიძე

ჩვენი პატარები

ლუკა ველიჯანაშვილი
2 წლის. ახალციხე

ანასტასია
ლონდარიძე
3,8 წლის.
ახალციხე

ილია
უშარიძე
6 თვის.
ასპინძა

ლალი ჯაფარაშვილი
კიდევაც დაიზრდებიან

ნამეხარ მუხის ნერგი ვარ,
შენს ყისკარს ვეალერსები,
მინის გულს ჩავჯიდებივარ
და ნაჟურს ვინოვ ფესვებით.

შენთვის ვიზრდები, მამულო,
მე დაგიბრუნებ მზიანეთს!
მტრის სადარდებლად ვხმაურობ,
შენს საიმედოდ ვშრიალებ!

იმედი შენი ფრთებია,
დარეგს გპირდება მისანი!
„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი"!

მარიამ
ხიხალაშვილი
1,6 წლის.
ასპინძა

ილია აფციაური
1 წლის.
თბილისი

მარიამ სუდაძე
1,7 წლის. ახალციხე

გაბრიელ
აზირაშვილი
1 წლის.
ახალციხე

1,7 წლის ელენე და 4 წლის
ანდრია მარაძეები. თბილისი

1,7 წლის ანა და 2,7 წლის ნიკოლოზ
ხიხალაშვილები

მარიამ, გიორგი, ლუკა ნიკოლაიშვილები,
სტრასბურგი,
გიგა გიგაური, თბილისი

თამარ გვირჯიშვილი
2 წლის. ასპინძა

9 თვის ანტონ ხანთაძე და 8
თვის ლიკა დანგაძე. თბილისი

1,7 წლის ანასტასია და 5
წლის ლუკა ნათენაძეები.
ახალციხე

გმადლობთ, თანადგომისათვის!

გაზეთი, მით უფრო, — ლიტერატურული, — პატარა ბავშვივითაა. მას ყოველდღიური მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება, რათა იარსებოს. თუ არ მოუარე, არ მიხედე, ყურადღება მოადუნე, იგი არსებობას წყვეტს. ასეა ჩვენი გაზეთიც. მან დღემდე მკითხველთა თანადგომითა და მზრუნველობით მოაღწია, თუმცა, რომ არა ერთეულ, გულისხმიერ ადამიანთა აქტიური მხარდაჭერა და ყურადღება, იგი, არა თუ შეინარჩუნებდა სიცოცხლეს, არამედ, კარგა ხნის დავიწყებულიც იქნებოდა.

იმ ერთეულ მხარდამჭერთა შორის განსაკუთრებული წვლილი მაინც შპს **„ახაშენს“** მიუძღვის ან გარდაცვლილი, დიდებული ადამიანის, კაცური კაცის (ასეთი სახელით დარჩა იგი სამცხე-ჯავახეთის მოსახელობაში) **ლევან ხუციშვილისა** და მისი მეუღლის — დიდებული ქალბატონის, ამჟამად ამავე ფირმის დირექტორის **ლიანა მანჩხაშვილის** სახით.

ქალბატონმა ლიანამ ამჯერადაც უანგარო დახმარების ხელი გამოგვიწოდა და ამ ნომრის გამოცემაში თავისი სიტყვა სთქვა, რაზეც გაზეთის რედაქცია უღრმეს მადლობას მოახსენებს მას ესოდენ დიდი მხარდაჭერისათვის.

ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოთ, ქალბატონო ლია!

გაზეთის — „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

„ახალციხელობა“ ახალციხეში

2014 წლის 30 ივნისს ქალაქ ახალციხეში — რაბათის ციხის ტერიტორიაზე, დილიდანვე იგრძნობოდა საზეიმო განწყობა, ახალციხის მუნიციპალიტეტის სამსახურისა და შპს „ახალციხის ციხის“ თანამშრომლები სათანადოდ მოემზადნენ დიდი ქართველი წმინდანისა და ეროვნული გმირის — შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩასატარებლად.

დილით ახალციხის ეპარქიის ღვთისმსახურებმა, შალვა ახალციხელის სახელობის მშენებარე ტაძარში ჩაატარეს პარაკლისი, რომელსაც ახალციხის, მუნიციპალიტეტის სოფლებისა და მეზობელი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა გარდა ესწრებოდნენ ამ დღეს ექსკურსიაზე მყოფნი როგორც საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან, ასევე სტუმრები სხვა ქვეყნებიდანაც.

ახალციხელობას ესწრებოდნენ 2013 წელს არჩეული „საპატიო ახალციხელები“ — **ვაჟა აზარაშვილი** და **თეიმურაზ ყვითელაშვილი**, ასევე ანსამბლ „მესხეთის“ ძველი და ახალი თაობის მომღერლები.

ღონისძიება 14 საათიდან დაიწყო ხალხური რეწვის ოსტატთა გამოფენა - გაყიდვით. წარმოდგენილი იქნა ხეზე, რიყის ქვაზე კვეთა, გობელენები, ფარდაგები, რკინის ნაკეთობები, ასევე ანსამბლ „მესხეთის“ ძველი და ახალი თაობის სურათები.

შემდეგ გაიმართა ახალციხის ქორეოგრაფიული ანსამბლის — „მესხეთი“-ს საზეიმო კონცერტი, რომლის დამთავრებისთანავე **გაიხსნა ფოლკლორული ანსამბლის „მესხეთი“**-ს ვარსკვლავი.

2014 წლის ახალციხის საპატიო მოქალაქეებად არჩეული იქნენ — დეკანოზი **სტეფანე (ნადირაძე) , ვახტანგ კვესელაძე, ომარ ჯაყელი.**

მათთან ერთად დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ 2013 წლის „ახალციხის საპატიო მოქალაქეები“, თემურ ყვითელაშვილი და ვაჟა აზარაშვილი.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ სცენა დაეთმო თბილისის მერის **ბიგ-ბენდსა** და ცნობილ ქართველ მომღერლებს — მარი ებრალიძეს, **მაია ბარათაშვილს, ალეკო ბერძენიშვილს, გიორგი სუხიტაშვილს, ზაურ შავგულიძეს.**

საკ. ინფორმაცია

„საგზლად სიყვარულიც მეყოფა...“

ამ საოცრად არანორმალურ, ქაოსურ ყოფაში, სამწუხაროდ, არავის უკვირს, რომ დავიწყებას მიეცა პოეზიის საღამოები. სულიერად დამშეული საზოგადოება, ვისთვისაც ლექსი, შემოქმედება, ესთეტიკა და, საერთოდ, ხელოვნება მნიშვნელოვანია, ზეიმივით ელოდება ახალ სიტყვას, ახალ ლექსს, ახლებურად ნამღერ ფოლკლორულ სიმღერას. ეს ნამდვილად გვჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ, ერთმანეთის შემოქმედება შევაფასოთ, ჩვენი სიტყვით შევეხმიანოთ რეალობას.

ახლახან ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ **ვიოლეტა ბალახაშვილის** თაოსნობით მეტად საინტერესო შემოქმედებითი საღამო ჩატარდა. იგი ერთ დიდ თაიგულს ჰგავდა, სადაც სხვადასხვა ყლორტებსა და სურნელს დაედო ბინა. ქართული მადლიანი სიტყვის ოსტატები შეიკრიბნენ ბაკურიანიდან, ტაძრისიდან, დვირიდან, ცემიდან, სადგერიდან, ტბიდან, ჭობისხევიდან, და, რა თქმა უნდა, ბორჯომიდან.

წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ლექსის მრავალფეროვნება და მშობლიური სიმღერების სიამოვნება გველოდა. როგორც ქალბატონმა ვიოლეტამ აღნიშნა, ანალოგიური საღამო პირველად ბორჯომში 1990 წელს ჩატარებულა, რომელსაც ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი **ვახუშტი კოტეტიშვილი** ესწრებოდა. ეს დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ ქართული ეკლესია მცხეთის ჯვრის დღეს აღნიშნავდა და, ამავე დროს, ლომისობასაც. პოეზიის საღამოს ალამაზებდა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლი ,,ნენანა“ (ხელმძღვანელი ნანა ანდღულაძე), ანსამბლი ,,გაზაფხული“ (ხელმძღვანელი **მარინე ბლიაძე**) და ანსამბლი ,,იმედი“ (ხელმძღვანელი **თეა გაბელაია**), ბაკურიანიდან — დედა-შვილი **დარეჯან ბარათელი** და დავით ბერიძე. ქალბატონმა დარეჯანმა საკუთარი ლექსები წაიკითხა, ახალგაზრდა, ნიჭიერმა ავტორ-შემსრულებელმა დავითმა კი ფოლკლორით მოგვნუსხა. ქალბატონმა **თამარ მიქაბერიძემ** დედის — 80 წლის **ანა გელდიშვილის** ლექსები გაგვაცნო. მკითხველთა წინაშე წარსდგნენ პოეტები **მარიამ გვარამაძე, იზო სარქისიანი** და **ნათელა ტაბატაძე, ნანა გაიხარაშვილი, ნიკოლოზ ლორია, ლიანა სამსონიძე, მონიკა ჭანტურია, მარიზა ჯიქია, მაია რუსიშვილი, თამარ გოგოლაძე, ჯემალ ბიბილური, დავით ჯიკაევი, ბეჟან დათუნიშვილი, ოთარ ოქრომელიძე, უჩა ჯანგირაშვილი, მარიკა გელაშვილი, ნატო ბეშკენაძე,** ახალგაზრდა პოეტები: **მარიამ სამსონიძე** და **თამარ შაყულაშვილი.**

გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორმა, ბატონმა **ვალერიან ლომიძემ** წამოაყენა წინადადება, წიგნად გამოიცეს ბორჯომელ პოეტთა მცირე ანთოლოგია. მან გულისტკივილი არ დაფარა იმის გამო, რომ დარბაზი სავსე არ იყო, მაგრამ იმედით აღნიშნა — ,,მოვა დრო და მომავალი თაობა დაინტერესდება ჩვენი მხარის ნიჭიერი მელექსეებით“-ო.

მსმენელის მახვილ ყურს არ გამორჩენია საღამოს ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის — **მარიამ სამსონიძის** ნოველები, რომელმაც ლიტერატურულ კონკურს ,,ეგო-არტში” გაიმარჯვა. 2008 წლის ომის თემაზე დაწერილი ერთი დასამახსოვრებელი, მძიმე ისტორია მარტივი და სევდინი ლექსიკით იყო ჩამოქნილი და ჩვენამდე მგრძნობიარედ მოტანილი.

ჭობისხველმა პოეტმა **ირმა შარიქაძემ** თავისი ხელით შექმნილი სადღესასწაულო კაბების გამოფენაც მოაწყო.

ერთადერთი, რაც საღამოს ბოლოს შეიძლებოდა ვინმეს კითხვა გასჩენოდა, ის იყო თუ კიდევ როდის გვექნება პოეზიის შეგრძნების მსგავსი სიამოვნება და როდემდე გვეყოფა ეს „სიყვარულის საგზალი?!“

მონიკა ჭანტურია

დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით ავთანდილ ბერიძე;
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“ მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
პასუხისმგებელი მდივნის – 99 23 35 84;
lit_meskheti@yahoo.com